

Годъ изданія III-й

მსოფს

და ქალაქი

გორაკს

მ ჰემსტრო

ფასი ნომერისა 50 მან.

ცენა ნომერა 50 რუბ.

№ 4

თბილისი
თიფლის

15 თებერვალი 1920 წ.
феврала г.

ლეგა ხელის მოწერა 1920 წლისათვის.

ორკვირეული უფრნალი

მკობა

წელიწადი 8მ-3.

24 № წელიწადში.

დაქალაქი

(ყოფილი უფრნალი „კავკასიის ქალაქი“).

ორგანო ერობათა და ქალაქთა კავშირებისა.

გამოდის ქართულ და რუსულ განყოფილებებით.

რედაქტორები: ა. ს. ბრიტნევისა და ლ. ი. ნათაძე.

ხელისმოწერის პირობანი:

განცხადებების ფასი:

ერთი წლით	500 მან.
ნახევარი წლით	275 „
სამი თვით	140 „
ცალკე ნომერი	30 „

პეტრის სტრიქ. ტექ. წინ-3 მ.
„უკან-2 მ.
ვინც ქალაქთა და ერობ. მმართველობებში ალაგს ეძებენ, მათ გადახდებთ ნახევარი.

უფრნალი მიზნათ ისახავს ადგილობ. მართველ. თეორიულ და პრაქტიკ. საკითხების ყოველ მხრის გარკვევა-გაშუქებას, მის იდეების განმტკიცებას და გაფართოებას.

უფრნალში მოთავსებულ წერილებში შემდეგი საკითხები იყო გარკვეული: ქალაქის და ერობის ორგანიზაცია, ფინანსები. წარმოების მუნიციპალიზაცია, მუნიციპალური უფლება. მედიცინა, სანიტარია, სახალხო განათლება. გზები, შეფასების საქმე, სტატისტიკა და სხ. იბეჭდებოდა კორესპონდენციები ადგილებიდან, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, სავალდებულო დადგენილებანი.

1919 წელში უფრნალში მონაწილეობას იღებდნენ:

ინჟ. ა. ბაბოვი, უფრნ. რედაქ. ა. ბრიტნევისა, კატო-ბ-ძე, შრომის ბიროის გამ. ნ. გიკი, სტატისტიკ. ა. გონჩაროვი, ოზურგ. ქალ. თავი ვ. ლლონტი, ინჟ. მ. უადანოვი, დამფუძ. კრებ. წევრი ი. ირემავილი, პრ.-დოცენტი ლ. იშკოვი, რუს. ნაც. საბჭოს თავმჯდომარე ა. კალიუჯნი, სენატორი დ. კალანდარიშვილი, არხიტექტორი კ. კერერი, ექიმი პ. კიკალიშვილი, ლაბორანტი ნ. პოიავა, უფრნალისტი დ. კორენევი, აგრონომი ი. ქურდიანი, ინჟ. რ. კულანდა, თელავის ქალაქის თავი ა. ლანდია, ფერწევი რ. ლევიტი, ექ. ი. ლომაური, სტატისტიკოსი ი. ლიადოვი, ექიმი ა. მალალაშვილი, ნაფ. ვექ. მ. მაღლისონი, ეკონომისტი ტ. მარგველაშვილი, ეკონ. ვ. მამონოვი, ნე. ივ. მექმარიაშვილი, ინჟ. გ. მეფფერტი, გ. ნანეიშვილი, დამფ. იკრებ. წევ. ლ. ნათაძე, დამფ. კრებ. წევ. თბ. ერობ. საბჭოს თავმჯდ. დ. ონიაშვილი, ქალ. კონტროლი დ. პეტრაკოვსკი, ერობის მოღვაწე პსკოვიჩი, ქეთ. ქალ. თავი ს. რობაქიძე, ექ. ნ. რუბაძე, ძველი ერობელი, უფრნალ. მ. სმირნოვი, აგრონ. ვ. სოკოლოვი, უფრნალ. გ. თუმანოვი, აგრონ. ტ. უვაროვი, ქალ. გამგ. ყოფ. წევრი ი. ჩერქეზიშვილი, ერობის მოღვაწე ს. ჭანტურიშვილი, ქალ. კავშ. თავმჯდ. დაფ. კრ. წევრი ნ.-ელიავა, ინჟ. ა. ესენი, იურისტი ვ. იანოვიჩი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისი, პუშკინის ქუჩა,

№ 3 ქალაქთა კავშირის ბინა.

ტელეფონი 1-78.

მოწოდება.

საორგანიზაციო კომიტეტი, შემდგარი ტფილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეების კავშირებისაგან, მოუწოდებს ქალაქის თვითმართველობების, სამაზროეობების და ქალ. კავშირის მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზაციებს,

გამოგზავნონ წარმომადგენელი 5 მარტისთვის ქ. ტფილისში

დანიშნულ კონფერენციას.

ამხანაგებო! ყოველივე ღონის-ძიება იხმარეთ, რომ ყველა ქალაქებიდან და მაზრებიდან გამოგზავნილ იქნან წარმომადგენელი. საარჩევნო ერთეულებად ითვლებიან თვითმართველობები: ქალაქის და სამაზრო ერობის და აგრეთვე ქალაქთა კავშირის ორგანიზაციები. ის ორგანიზაციები, რომელშიაც მოსამსახურეთა რიცხვი ასამდრ არის, ჰგზავნიან ერთ წარმომადგენელს, ხოლო ასს ზევით ყოველ ასზე თითო წარმომადგენელს.

ამხანაგებო! ვინაიდან გასარჩევია მეტად საყურადღებო და ჩვენთვის საკირბოროტო საკითხები—მათ შორის კი ყველაზე მწვავე საკითხი, სახელდობრ, კანონი შრომის ხელშეკრულობის შესახებ, რომელიც დღეს დამფუძნებელ კრებაში მუშავდება—გავრცელდეს თუ არა ზემოაღნიშნული კანონი სახელმწიფო და მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეებზე, ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტი ტფილისის-მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეების კავშირისა იმედოვნებს, რომ თქვენ სათანადო სიფხიზლით მოეკიდებით ამ მოწოდებას და გამოგზავნით წარმომადგენლებს, რომელნიც ამ ფრიად დიდი საკითხის შესახებ თავის გარკვეულს აზრს გამოსთქვამენ. დრო დაყოვნებას არ ითმენს და თუ სიფხიზლე არ გამოვიჩინეთ, ადვილი შესაძლებელია, რა მოდენიყე ათი ათას მოსამსახურეზე ეს კანონი არ გავრცელდეს.

დედეგატები უნდა გამოცხადდენ ჩამოსვლისთანავე ქ. ტფილისის თვითმართველობაში—ზედა სართულში, კავშირის კომიტეტში. სადაც მიიღებენ ბილეთებს ბინისაჲს.

საორგანიზაციო კომიტეტი.

ОБЪЯВЛЕНИЕ.
ОРГАНИЗАЦИОННЫЙ КОМИТЕТЪ
С О Ю З О В Ъ
МУНИЦИПАЛЬНЫХЪ СЛУЖАЩИХЪ И РАБОЧИХЪ
(объединенный союз служащ. гор. Самоуправ. и Союза Город.)

Трамвайныхъ и Земскихъ служащихъ

извѣщаетъ всѣхъ товарищей, что 5 марта имъ созывается **КОНФЕРЕНЦІЯ** изъ представителей поименованныхъ союзовъ всей Грузіи для обсужденія вопроса о трудовомъ договорѣ. Норма представительства: со ста одинъ представитель, причемъ организационной единицей считается город. самоуправленіе и уѣздное земство, и сверхъ этого съ каждыхъ ста членовъ по 1 представителю. Для пріѣзжихъ представителей будетъ устроено общежитіе и дешевая столовая. За справками просить обращаться въ Исполнительный Комитетъ Союза Муницип. Служащ. и рабочихъ, Тифлисъ. Гор. Управа.

ЦЕНТРАЛЬНАЯ ЛАБОРАТОРІЯ

Союза Городовъ Республѣки Грузіи

производитъ микроскопическія, клинѣко-диагностическія, бактериологическія изслѣдованія крови (на реакцію widal'я и wassermann'a), мочи, кала, желудочнаго сока и т. п. Изслѣдованія производятся за плату, согласно скалъ, утвержденной Исполн. Бюро Союза Городовъ; для немущихъ

БЕЗПЛАТНО.

Кромѣ того Лабораторія изготовляетъ:

предохранительныя: поливалентныя вакцины: **ХОЛЕРНУЮ**,
брюшно-тифозную, тетра и тривакцины;
лечебныя—гоно, стрепто и стафилококковыя вакцины.

Также изготовляются: сифилитическій и нормальный **АНТИ-ГЕНЫ**, гемолитическую сыворотку, мышинный и крысинный тифы.

ეროვნა და ქალაქი

— — — — — მ რ ვ ა ნ ო — — — — —

ეროვნათა და ქალაქთა სავაჭროებასა

ორკვირეული გამოცემა მუნიციპალურ კითხვების შესახებ.

ГОРОДЪ И ЗЕМСТВО

Органъ Союзовъ Городовъ и Земствъ Республики
Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.

№ 4

თბილისი
Тифლისь

15 თებერვალი 1920 წ.
февраля г.

შინაარსი:

ქართულად:

გვერდი

პროფ. ს. ავალიანი—წარმოების მუნიციპალიზაცია	3—6
კ. ნინიძე—საეროზო დაზღვევა	7—9
ვ. ხახანაშვილი—უძრავ ქონებათა შეფესება ქალაქებში	10—23
ი. ქურდიანი—აგრონომიული ცენტრის შექმნის შესახებ	23—26
ქრ. შარაშიძე—სიღნაღის მაზრის სკოლების მდგომარეობა (გაგრძელება)	27—37
ცნობები ადგილებიდან	38—41
† გიორგი მიხეილის-ძე თუმანოვი	41—42
ქრონიკა.	

რუსულად:

უ. მადდისონი—ადგილობრ. მმართველ. ჯდა მათი რწმუნებულები	1—5
პროფ. ს. ავალიანი—კომუნალური კრედიტი (გაგრძელება)	5—10
ვლ. ახობაძე-ტკაჩევი—ადგილობრივ მმართველობის ორგანოებ- თა საბიუჯეტო უფლება	10—16
პ. გამყრელიძე—ქალაქების ლომბარდები	16—18
ბ. უვაროვი—საეროზო აგრონომ. მუშაობის ძირითადი მიზნები	18—24
დ. კორენევი—ადგილობრივი თვითმმართველ. სამხ. რუსეთში	24—28
რ. ი-ნი † გიორგი მიხეილის-ძე თუმანოვი	28—31
ქრონიკა.	

Содержаніе:

На грузинскомъ:

Страницы

Проф. С. Авалиани—Муниципализация предприятий	3—6
К. Нинидзе.—Земское страхованіе	7—9
В. Хаканашвили. Оцѣнка недвижимыхъ имуществъ въ го- родахъ	10—23
И. Курдиани.—О созданіи агрономическаго центра	23—26
Хр. Шарашидзе.—Положеніе школъ въ Сигнахскомъ уѣздѣ. Извѣстія съ мѣсть	27—37
† Георгій Мих. Тумановъ	38—41
† Георгій Мих. Тумановъ	41—42

Хроника.

На русскомъ:

Страницы

Е. Маддисонъ. Мѣстныя управленія и ихъ полномочія	1—5
Проф. С. Авалиани. Коммунальный Кредитъ. (Продолж.)	5—10
Вл. Ахобадзе—Ткачевъ. Бюджетныя права органовъ мѣстнаго управленія	10—16
П. Гамкрелидзе. Городскіе домбарды	16—18
Б. Уваровъ. Основныя задачи земской агрономич. работы	18—24
Д. Кореневъ. Мѣстное самоупр. на Югѣ Россіи	24—28
Р. И-ни, † Георгій Михайловичъ Тумановъ	28—31

См. хронику на послѣдней страницѣ.

წარმოების მუნიციპალიზაცია.

ქალაქი წარმოადგენს დიდ მეურნეობას. დემოკრატიულ სახელმწიფო-ში ქალაქის თვითმმართველობას, დემოკრატიის ნდობით აღჭურვილს, ფრიად დიდი ვალდებულება აქვს. დღეს-დღეობით ქალაქის თვითმმართველობას არა აქვს დიდი სახსარი. ქალაქები დიდ გასაჭირს განიცდიან. გასაჭირი გამოწვეული არის საერთო პირობებით. ეკონომიური ნიადაგი აწეწილია, ანგრეულია. დიდი საჭირო-ბოროტო საკითხები წამოუყენა ცხოვრებამ ქალაქების მესვეურთ. მათი სავსებით გადაჭრა არ შეუძლია ქალაქებს უსახსრობის გამო. ქალაქების ბიუჯეტები უნუგეშო მდგომარეობაში არიან. ქალაქების ნივთიერი მდგომარეობის განმტკიცება მხოლოდ გადასახადების საშუალებით შეუძლებელია. წყარო გადასახადებისა თითქმის ამოწურულია. გადასახადების შესაძლებლობა ქალაქის მცხოვრებლებისათვის განსაზღვრულია და საზღვარს ვერ გადავცილდებით. ქალაქები იძულებულნი არიან ისეთი წყარო გამოისძებნონ, რომელიც მისცემს მის საღაროს გარკვეულ სახსარს და თვით მცხოვრებლებს გაუადვილებს დღევანდელ არსებობის პირობებს.

ასეთი თითქმის დაუშრეტელი წყაროა წარმოების მუნიციპალიზაცია. ქალაქში შესაძლებელია სხვა-და-სხვა გვარი წარმოების მოწყობა. წარმოება, კი, მისი მართვა-გამგეობა ქალაქის ხელში უნდა იყოს. ქალაქი უნდა დაუდგეს მეურნეობას სათავეში. ქალაქს აქვს თითქმის განუსაზღვრელი ასპარეზი დამოუკიდებელი მეურნეობისა. ეს არის უდიდესი წყარო ქალაქის ნივთიერი გაძლიერებისა.

ომიანობამდე დასავლეთ ევროპის ქალაქებში ძლიერ ეწაფებოდნენ სჯუთარი წარმოების გაძლიერებას და დამყარებას. ამ მიდრეკილებამ ძლიერ ფართო ხასიათი მიიღო. რა მნიშვნელობა აქვს წარმოების მუნიციპალიზაციას ანუ წარმოების ქალაქისათვის გადაცემას? მუნიციპალიზაცია წარმოებისა ძლიერ გავრცელებული არის ბრიტანეთის ქალაქებში. ქალაქ ბირმინჰამმა შეისყიდა გაზის ქარხნები და თითონ აწარმოებს ამ საქმეს. გაზის ქარხნები ეკუთვნოდა კერძო კაპიტალს. 7 წლის განმავლობაში ქალაქმა აინაზღაურა შესყიდვის დროს გაწეული ხარჯები და აიღო მოგება 7 მილიონი მან. ამ მოგების შედეგი ის იყო, რომ ქალაქმა შესძლო არსებული გადასახადების შემცირება; გაზის ფასი დაკლებული იქნა. გაზის მომხმარებელი იხდიდა 3 შილინგისა და 1 პენსის მაგივრათ, 2 შილინგსა და 2 პენსს. გაზი ხელმისაწვდომი შეიქნა მცირე კონების და შეძლების პატრონებისათვისაც. ქალაქ ლლაზგოში ქალაქმა ააშენა იაფ-ფასიანი ბინები და

აქირავებს. ჩინებულად მოწყობილი ოთახი წლიურად ღირდა 5 გირვანქა და 10 შილინგი, ანუ ძველ კურსს თუ ავიღებთ 45 მან. წელიწადში; ორი ოთახი მოწყობილი წელიწადში ქირავდებოდა 6 გირ. და 16 შილინგათ.

წყალსადენი, ტრამვაი; ელექტრონი ქალაქ ბრედფორდში ეკუთვნის ქალაქის თვითმმართველობას და იგი თვით აწარმოებს ამ დარგებს. შედეგი ამ წარმოებისა იყო ძლიერ საყურადღებო; წლიური წმინდა შემოსავალი შეადგენდა 16.000 სტერ. ანუ 160.000 მ. მაგალითების გამრავლება აღვილია.

რა შედეგები აქვს წარმოების მუნიციპალიზაციას და რა მოგება რჩება მუნიციპალიზაციისაგან დემოკრატიას?

უპირველეს ყოვლისა, როდესაც რაიმე წარმოებას ქალაქი უდგება სათავეში, ნაწარმოების ფასი მცირდება და ხელმისაწვდომი ხდება დემოკრატიისათვის. მუნიციპალიზაციის დედა აზრი არის არა მოგება, არამედ ცხოვრების გაიაფება. მუნიციპალიზაციამ შექნა გაზის გაიაფება; მომხმარებელი თითო 1.000 კუბიკურ ფუთზედ იხდის დრედფორდში 3 შილ. და 6 პენს. მაგიერ 2 შილ. და 2 პენს., ანუ მოქალაქეს რჩება 1 შილ. და 4 პენსი. ეს წინათ მოგება გადადიოდა კერძო კაპიტალისტის ჯიბეში. მუნიციპალიზაცია კი ამ თანხას უბრუნებს მომხმარებელს, მომხმარებელი კი ამ მოგებას ახმარებს სხვა მოთხოვნილებას. ბირმინჰანში ქალაქის თვითმმართველობამ გააშენა სახლები და იაფ ფასებში გააქირავა. ამის შედეგი იყო ქალაქის მცხოვრებლების გაჯანმრთელება. ვიდრე ქალაქი ხელში აიღებდა ამ საქმის წარმოებას, ათასი კაციდან წლიურათ იხოცებოდა 53, რადგან ისინი ცხოვრობდნენ ბინძურ და სრულიად მოუწყობელ ბინებში. მას აქეთ, რაც ქალაქი სახლების გაშენებას შეუდგა სრულიად შეიცვალა მდგომარეობა. ქალაქის მიერ აშენებულ სახლებში კარგი მოწყობილი ბინები იყო, სუფთა, კარგათ მორთული და ათასი მცხოვრებიდან იხოცება 21 სული. ამასთან ერთად ქალაქს კარგი შემოსავალიც ჰქონდა; შემოსავალს ქალაქი ახმარებდა სხვა საჭიროებებს და მოთხოვნილებებს.

მაშასადამე, წარმოების მუნიციპალიზაციას დიდი შედეგი მოსდევს. როდესაც ქალაქი საკუთარ მეურნეობას იწყებს, ის ქმნის ახალ წყაროს თავის შემოსავლისას. შემოსავლის წყაროს აღმოჩენა საშუალებას აძლევს ქალაქს შეამციროს გადასახადები. რაც უფრო გაფართოებული იქნება ქალაქის წარმოება, მით უფრო მეტი შემოსავალი იქნება, უფრო მეტი საშუალება გადასახადების შემცირებისა. შემდეგ, მუნიციპალიზაცია წარმოებისა აძლევს ქალაქს საშუალებას ის მოგება, რომელსაც იღებს კერძო კაპიტალი, გადადოს ქალაქის სალაროში. მხოლოდ ქალაქი კმაყოფილდება მცირე მოგებით, გაცილებით უფრო მცირე მოგებით, ვიდრე კერძო კაპიტალი. წარმოების მუნიციპალიზაციას თან მოჰყვება კაპიტალის გასაზოგადოება, კაპიტალი ჰკარგავს მტაცებლობის, ცარცვის ხასიათს. წარმოების მუნიციპალიზაცია — ანუ კაპიტალის გასაზოგადოება მოქალაქეს უადვილებს ცხოვრებას, ცხოვრება იაფდება. მომხმარებელის ბიუჯეტში გასავალი

უპირველესი მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი მცირდება; მოქალაქეს საშუალება აქვს მეტი თანხები დახარჯოს სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ. წარმოების მუნიციპალიზაცია ქმნის ცხოვრების ისეთს ახალ პირობებს, რომლებიც იწვევენ ადამიანის გაჯანმრთელებას.

წარმოების მუნიციპალიზაცია არის. დიადი საშუალება არსებული წეს-წყობილების გარდაქნისა. ევროპის სახელმწიფოებში ქალაქის თვითმმართველობები ბურჟუაზიის წარმომადგენლობით უკვე დაადგა ამ გზას. ცდამ და გამოცდილებამ დაარწმუნა განათლებული ევროპა, რომ ეს გზა, ეს მიდრეკილება უნდა იქნეს გამოყენებული ხალხის კეთილდღეობისათვის. თუ წარმოების მუნიციპალიზაციას ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინეთ, ომიანობამდე, როდესაც მოქალაქე ასეთ განსაცდელს არ განიცდიდა, როგორც ეხლა, როდესაც კაპიტალი არ იყო გატაცებული სპეკულიაციით ისე როგორც ეს ეხლა არის, დღეს პირობები ცხოვრებისა ძირიანათ შეიცვალა და ცხოვრების სიმძიმე უფრო აუტანელია დემოკრატიისათვის. სწორეთ ეხლა შეიქნა ისეთი პირობები, როდესაც ქალაქების თვითმმართველობანი განსაკუთრებული მუყაითობით უნდა შეუდგენ ამ საქმეს. ცხოვრების აუტანელი გაძვირება, ბინების უქონლობა, საშინელი სპეკულიაცია ყველა ეს ანადგურებს დემოკრატიას. ავთიმყოფობას, სენს საუკეთესო ნიადაგი აქვს. არავის გამოუკვლევია, რამდენათ გაიზარდა მცხოვრებლების დასნეულება და რამდენათ მეტი იხოცება დღევანდელ პირობებში. უეჭველია, რომ საშინელ რიცხვებს მოგვეცემა სტატისტიკა. მოქალაქეთა ჯანმრთელობამ რომ ძლიერ დაიწია, ამის შესახებ დავა შეუძლებელია.

ქალაქის პირდაპირი მოვალეობა არის წარმოების მუნიციპალიზაციის გზას დაადგეს. კიდევ უფრო დიდი მოვალეობა არის დემოკრატიული ქალაქების თვითმმართველობების. ქალაქები ეძებენ შემოსავლის სახსრებს. თითოული გადასახადი, რომელიც ქალაქებმა გამოსძებნეს და იძულებულნი იქნებიან მოსძებნონ ბიუჯეტის გასაძლიერებლათ, მთელი სიმძიმით იმავე დემოკრატიას აწვება. წარმოების მუნიციპალიზაციის გზა უნდა გამოიყენოს ქალაქებმა, რაც შეიძლება ფართოდ. ეს არის ვალდებულება დემოკრატიული თვითმმართველობისა. მე სრულიად არ მავიწყდება ის მოსახრებანი, რომელიც წამოყენებული არის და ყოველთვის იქნება ქალაქის, სახელმწიფოს, საზოგადოების მეურნეობის წინააღმდეგ. გვეუბნებიან, რომ კერძო მისწრაფება, კერძო კაპიტალი უფრო ცოცხალი და მოძრავია, უფრო კარგათ მუშაობს, რადგან კერძო კაპიტალი აგებულია პირად მოგებაზედ, პირად ნივთიერ მისწრაფებაზედ. სახელმწიფო და ქალაქის მეურნეობაში ასეთი პირადი ნივთიერი მიდრეკილება არ არის. მეურნეობა ხელში ჩაუვარდება მონხელებს და ისინი ვერ მისწვდებიან საქმეს. ჩვეულებრივი მოსახრება არის, ამ მოსახრების ნიადაგიც ძლიერ მარტივია. კერძო კაპიტალი იბრძვის. მას არ უნდა შეელოს თავის უპირატესობას და ყოველგვარ ძალ-ღონეს იხმარს, რათა განსახოგადოებრივი კაპიტალი დაამარცხოს.

გამოცდილება გვარწმუნებს, რომ წარმოების მუნიციპალიზაცია შესაძლებელია. ქალაქებს შეუძლიანთ ეს საქმე იკისრონ და გაუძღვენ მას. წარმოების მუნიციპალიზაციის საქმეში უკვე არის გამოცდილება და აუარებელი საყურადღებო მაგალითებიც. ჩვენ თუ მოწინააღმდეგეთა მოსაზრებას ანგარიში გავუწიეთ, ხელი უნდა ავიღოთ მუშაობაზედ. თუ სახელმწიფო, ქალაქი მართავს რთულ საქმეებს, აშენებს სახელმწიფოს და ქალაქებს, თუ აღმშენებლობითი უნარი აქვს სხვა-და-სხვა დარგებში, ნუ თუ შეუძლებელია უნარის გამოჩენა ამ დარგში?

ომიანობამ, ომიანობის გამოცდილებამ სრულიად დაგვარწმუნა, რომ სახელმწიფოს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს შეუძლიანთ მეურნეობის გაძლოლა და რთული მეურნეობის მოწყობა. ომიანობის დროს, რომ არ ყოფილიყო ალაგმული კერძო მიდრეკილება, რომ კერძო მისწრაფება არ ყოფილიყო შემოფარგლული, რომ რთული დაწესებულებანი - სახელმწიფო, ქალაქები - მეურნეობას სათავეში არ ჩამდგარიყვენ, ვინ იცის რა მოხდებოდა და რანაირად დაბოლოვდებოდა ყველაფერი.

ჩვენ ვერ მივიჩნევთ სამართლიანად იმ მოსაზრებას, თითქოს ქალაქი არ იყოს მინდობილი წარმოების გაძლოლისათვის. წარმოების მუნიციპალიზაციას აქვს ნიადაგი და ისტორიული გამოცდილებაც. დემოკრატიული თვითმმართველობა ქალაქებში უნდა შეუდგეს წარმოების მუნიციპალიზაციას და სძლიოს ყოველგვარ დაბრკოლებას. ეს არის საუკეთესო იარაღი სპეკულიაციის და ცხოვრების დაქვეითების წინააღმდეგ.

მე კარგათ მესმის, რომ წარმოების მუნიციპალიზაცია არ მოეწყობა ერთსა და ორ დღეში. დარწმუნებული ვარ, რომ ამას დიდი დრო უნდა, ეს ასეა და არ არის სადაო საგანი. საჭიროა მხოლოდ ამ გზას დავადგეთ, შევუდგეთ სათანადო მუშაობას. ვიცი კარგათ, რომ ამ საქმეს სჭირდება დიდი თანხები. ჩვენი თვითმმართველობანი კო ვერ მოსძებნიან შეიძლება დღეს-დღეობით საჭირო თანხებს.

მე მგონია, რომ ეს საკითხი უნდა აუცილებლად იქნეს დაყენებული სხვა საკითხების რიგს გარეშე. ჩვენი თვითმმართველობანი უნდა შეუდგენ ამ საკითხის შესწავლას, გამოკვლევას, ნიადაგის მომზადებას. წარმოების მუნიციპალიზაციას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. თუ ქალაქები ამ გზაზედ შესდგებიან პრაქტიკული შედეგის ჩამოყალიბებას და განხორციელებას უნდა შეუდგეთ მას შემდეგ, როდესაც ძირითადი საკითხი გადაჭრილი იქნება.

პროფ. ს. ავალიანი.

საეროზო დაზღვევა.

I.

დღეს მომქმედ საეროზო დებულებით ერობებს, სხვათა-შორის, ევალება „გამგებლობა საურთიერთო საეროზო დაზღვევისა ცეცხლისა, სეტყვის, წყალდიდობის, საქონლის ჭირის და სტიქიის სხვა მოვლენათაგან და აგრეთვე იმ ზარალისაგან, რომელიც გამოწვეული იქნება მეურნეობის ყოველგვარ მავნებელთაგან“.

ადგილობრივ თვითმმართველობებს უმთავრესად დაკისრებული აქვთ ზრუნვა მცხოვრებთა ქონებრივ მდგომარეობაზე. მცხოვრებლების ქონებრივ მდგომარეობას კი ხშირად არყევს ან ისეთი არაჩვეულებრივი და მოულოდნელი მოვლენები, როგორცაა ცეცხლი, სეტყვა, მიწის ძვრა და სხვ., ან ისეთი, რომელიც თუმცა არ არის უჩვეულო, მაგრამ ხშირად მოულოდნელად ეწვევა ამა თუ იმ ოჯახს და მის კეთილდღეობას არყევს, ასეთი ოჯახის მარჩენელის სიკვდილი.

დაზარალებული პირი თუ ოჯახი, ცალკე აღებული, იშვიათად თუ შესძლებს საკუთარის ძალებით ფეხზე წამოდგომას და წელში გასწორებას. საჭიროა შველა, დახმარება. ეს კი შესაძლებელია მომხდარ ზარალის განაწილებით იმათ შორის, ვინც უბედურებას გადარჩა.

ამას ეწოდება დაზღვევა. საერთო მატერიალური თვალსაზრისით თუ გავსინჯავთ, აქ ცვლილება არ ხდება: რაც დაიღუპა იმას ვერ დააბრუნებთ და, მაშასადამე, ზარალის ანაზღაურება გამოიხატება არა დაკარგულ ღირებულების აღდგენაში, არამედ ქონების გადანაწილებაში.

მაგრამ მეურნეობის ინტერესისთვის სულაც არ არის უმნიშვნელო ასეთი დახმარება. დაუხმარებლად დაზარალებული პირი ან სულ ვერ გამოაბრუნებდა თავის საქმეს, ან გამოაბრუნებდა ძალიან დავვიანებით. ორივე შემთხვევაში ხალხის საერთო სიმდიდრე ბევრს წააგებდა.

ამიტომ დაზღვევას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს და დღეს ის ერთობ გავრცელებულია დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში.

იმის მიხედვით, თუ ცხოვრების რომელ მხარეს ეწვევა უბედური შემთხვევა, დაზღვევა არის შემდეგი სახის: უძრავის (შენობების) და მოძრავი ნივთების დაზღვევა ცეცხლისაგან, დაზღვევა სეტყვისაგან, წყალდიდობისაგან, საქონლის ჭირისაგან, მინდვრის მავნებელთაგან და დაზღვევა სიცოცხლის.

მუშების დაზღვევა სახელმწიფოს და პროფესიონალურ კავშირების საგანგებო ზრუნვის საგანს შეადგენს (საავათმეყოფო კასები) და ამიტომ აღნიშნულ დარგს აქ არ შეეხებით.

არის დაზღვევის ორი მთავარი ტიპი. პირველია სავაჭრო ან სამრეწველო ხასიათის დაზღვევა. ეს არის ვალდებულება ორ მხარეს შორის: ერთი—დამზღვევი—კისრულობს მეორის ზარალის ანაზღაურებას უბედურ

შემთხვევაში; სამაგიეროთ დაზღვეული იხდის პერიოდულათ განსაზღვრულ თანხას (პრემია) დამზღვევის სასარგებლოთ. დაზღვეულის ანგარიში იმაზე ემყარება, რომ შედარებით უმნიშვნელო თანხას იხდის და სამაგიეროთ, თუ ღმერთი გაწყრა და უბედურება ეწვია, დიდ ზარალს აინაზღაურებს; დამზღვევი კი ემყარება იმ მართალ მოსაზრებაზე, რომ უბედური შემთხვევა შედარებით იშვიათი იქნება და გასავალი მთელს შემოსავალს ვერ შთანთქავს, რის გამო ის მოსაგებს ნახავს.

მაშასადამე, სავაჭრო დაზღვევის მამოძრავებელ ელემენტს შეადგენს მოსაგები.

თეორეტიულად დასაშვებია, რომ დამზღვევი იყოს კერძო პირი, მდიდარი კაპიტალისტი მაგრამ ფაქტიურად ეს ასე არასოდეს არ ხდება, რადგან დიდძალი კაპიტალია საჭირო, რაც კერძო პირების შესაძლებლობას აღემატება.

ამიტომ მოქმედებენ აქციონერული დამზღვევი ამხანაგობანი დამტკიცებულ წესდების ნიადაგზე.

არის დაზღვევის მეორე ტიპი—საურთიერთო დაზღვევა. ამ უკანასკნელის მიზანი არაა მოსაგების მიღება. ამით განირჩევა ის სავაჭრო დაზღვევისაგან. დაზღვევის ეს ტიპი დიდათ არც არის გავრცელებული. ჩვენში აქა-იქ არსებობენ ეგრეთ წოდებული სამარხი კასები; რომელიც საურთიერთო დაზღვევის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენენ.

სამაგიეროთ საურთიერთო დაზღვევა უფრო საღ საზოგადოებრივ საფუძველზეა აგებული, ვინემ კომერციული. ეს უკანასკნელი, რაკი მოსაგებ პირველ ალაგას აყენებს, ამიტომ გადასახადსაც თანასწორად არ ანაწიებს: ცეცხლისგან დამზღვევი ნაკლებ გადასახადს ახდევინებს, მაგალითად, იმას, ვისაც სახლი რკინის სახურავით აქვს გადახურული, და მეტს ახდევინებს იმას, ვისაც ჩალით აქვს დახურული. დამზღვევი ანგარიშში იღებს რისკს, ეს კი ღარიბი კაცის საქმეს აფერხებს.

ამიტომ აუცილებელი ხდება ამ საქმეში სახელმწიფოს ჩარევა.

მისთვის ეს საქმე არ არის ძნელი ან უჩვეულო. მეურნეობის ბევრ დარგს თითონ აწარმოებს ის: ასეთია ფოსტა, რკინის-გზა, ფულის საქმე და სხვ. მას საკმაოდ გამოცდილი მოხელეებიც ჰყავს ამ საქმისთვის. თითონ პრემიების შეგროვება ძალიან წააგავს გადასახადებს.

იძულებითი დაზღვევა რუსეთში პირველად შემოღებული იყო 1844 წ. სახელმწიფო გლეხების შენობებისათვის. ერობების შემოღების შემდეგ სავალდებულო დაზღვევის საქმეც მათ გადაეცა. გავრცელდა აგრეთვე ქალაქების საურთიერთო დამზღვევი საზოგადოებები. 1894 წ. 73 ასეთ საზოგადოებას ჰქონდა დასაზღვევი თანხა 588 მილიონი მანეთი. ერობებში კი 1892 წ. დასაზღვევი თანხა უდრიდა 807 მილიონ მან. იმ გუბერნიებში სადაც ერობები არ იყო შემოღებული მოქმედებდა საგუბერნიო საურთიერთო დაზღვევა, რომელსაც 1892 წ. ჰქონდა 633 მილიონი მანე თის თანხა.

ჩვენში საურთიერთო საერობო დაზღვევის საქმე საერობო დებულებით დაკისრებული აქვს ერობებს. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ჩვენბური ერობა არ არის მარტოდენ სამეურნეო ორგანიზაცია, არამედ ის არის აგრეთვე მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

მაგრამ ჩვენს ნორჩ ერობას ჯერ არც სააძისო აპარატი აქვს შექმნილი და არც რაიმე გამოცდილება აქვს მიღებული. ამიტომ მას მოუხდება ამ სფეროში რუსეთის ერობის ნამუშევარის გაცნობა და მისი მაგალითებით სარგებლობა.

რუსეთში დაზღვევის საქმეს განაგებენ საგუბერნიო ერობები. დაზღვევის თითქმის ერთად-ერთი ფორმა იყო შენობების დაზღვევა ცეცხლისაგან. ბოლო დროს შემოდინდა მოძრავის დაზღვევა, სხვათა-შორის ნათესის დაზღვევა სეტყვისაგან.

მიზანშეწონილად ითვლებოდა ორგვარი ზომა: ერთი იყო უკვე მოხდარ ზარალის ანაზღაურება, ხოლო მეორე—წინასწარი, ცეცხლის თავიდან ამცდენი. ამ უკანასკნელს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ერობა ცდილობდა მიეჩვია გლეხები ჩალის მაგიერ რკინის სახურავის ხმარებას; ამისთვის უფასო სესხს და ხან ისე დახმარებასაც აძლევდა გლეხებს. იღებდა ზომებს, რომ სახლები ერთმანეთისათვის დაეშორებიათ; აკეთებინებდა ქებს, ურიგებდა ცეცხლის ამცდენ მილებს და სხვ.

თითონ დაზღვევა კი ისე იყო მოწყობილი, რომ გლეხს რაც შეიძლება ნაკლები გადაეხადათ პრემიის სახით და რაც შეიძლება სავსებით აენაზღაურებიათ ზარალი. პირველ ხანებში ეს ძნელი მისაღწევი იყო. განსაკუთრებით საჭირო იყო სწორი შეფასება, რომ ეშმაკობა არ ეხმარათ. ეშმაკობას კი ხშირად ჰქონდა ადგილი: ხშირად იზღვეოდა სრულიად არარსებული შენობა, ხოლო ნამდვილი კი დაუზღვეველი რჩებოდა. ამისთვის ერობებს დასჭირდათ გამოცდილი სპეციალისტების მოწვევა და შენობების პერიოდულად ახალ-ახალი შეფასებების მოხდენა.

სასურველად არ იყო ცნობილი შენობის მთელის ღირებულების დაზღვევა. ჩვეულებრივ აზღვევდენ ღირებულების სამს მეოთხედს, რომ შენობის პატრონს სიფრთხილე გამოეჩინა, ან თუ სიფრთხილეს არ გამოიჩენდა, თითონ მაინც არ შეეწყო ხელი დაწვისათვის მოსაგების მოლოდინში. დასაზღვევი თანხა ცალკე უნდა ინახებოდეს და მისი ანგარიშიც ცალკე უნდა სწარმოებდეს.

რუსეთში საგუბერნიო საერობო კრებები უწევდენ კონტროლს ამ საქმეს, ჩვენში მას სამაზრო ერობამ უნდა უპატრონოს.

საჭირო წესდებას თითონ სამაზრო ერობები შეიმუშავებენ, ან მათი კავშირი.

საჭირო კია ამ საქმის დაჩქარება: რაც უფრო ჩქარა შეუდგებიან ერობები დაზღვევის მოწყობას, მით უკეთესი იქნება საქმისათვის.

კ. ნინიძე.

(შემდეგი იქნება).

უძრავ ქონებათა შეფასება ქალაქებში.

საჭიროა თუ არა უძრავ ქონებათა ახალი შეფასების მოხდენა?

რუსეთის დროებით მთავრობის მიერ მიღებულ და საქართველოს პარლამენტის მიერ დადასტურებულ „საქალაქო დებულების“ მე-10 მუხლის შენიშვნის ძალით ქალაქის თვითმმართველობანი მოვალენი არიან მოახდინონ ქალაქში უძრავ ქონებათა შეფასება 1920 წლის 1 იანვრამდის.

ამ ვადაზედ საქართველოს რესპუბლიკაში არც ერთს ქალაქს უძრავ ქონებათა შეფასება არ მოუხდენიათ სხვა-და-სხვა მიზეზებით, რომელნიც პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობით პატივსადებათ უნდა ვცნოთ. დღეს კი, როცა ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში დგება, ანარქია კვდება, რევოლიუცია დადინჯდა, ახალი შეფასება მორიგ საკითხად უნდა იქცეს თვითმმართველობათა ცხოვრებაში.

თვითმმართველობათა ბიუჯეტში გადასახადს შეფასების კვალობაზე ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა და ქალაქების შემოსავლის უმთავრეს წყაროს შეადგენდა. შეფასების კვალობაზე გადასახადის მნიშვნელობა, ძველ საქალაქო დებულების ძალით, ძლიერდებოდა იმ გარემოებით, რომ მამულის შეფასების რაოდენობა საზღვრავდა ხმის უფლებას არჩევნებში, მაგალითად თბილისში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ იმ პირებს, ვისი მამულიც შეფასებული იყო არა ნაკლებ 1.500 მან. დღეს შეფასების კვალობაზე გადასახადმა თავისი მნიშვნელობა, როგორც საარჩევნო უფლების საზომმა, დაკარგა, მეორე მნიშვნელობა კი, როგორც ქალაქის შემოსავლის უმთავრეს წყაროსი, დროებით შესუსტდა, რადგან უძრავ ქონებათა შეფასება დიდი ხანია აღარ მომხდარა და ქალაქების სამოცჯერ გადიდებულ ბიუჯეტში ისევ ძველ შეფასების კვალობაზე გადასახადს, მხოლოდ ორჯერ გადიდებულს, თავისი ადგილი არ უჭირავს და წინანდელი მნიშვნელობა აღარ აქვს. თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქის ბიუჯეტში შეფასების კვალობაზე გადასახადს, სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

მთელი შემოსავლის პროცენტები.				მთელი გასავლის %/0.
წლები.	უძრავ ქონებებიდან.	წარმოება-თაგან.	ვაჭრობა-მრეწველობიდან.	წარმოება-თა შენახვა.
1909	38,35	30,48	7,68	12,36
1910	14,06	12,33	2,99	5,38
1911	30,08	26,23	6,59	8,40
1912	32,37	29,43	7,69	12,58
1913	27,95	25,41	6,08	10,74
1914	29,82	35,23	6,05	15,70
1915	34,15	40,72	3,23	15,97
1916	26,29	50,10	1,84	38,64
1917	12,50	31,90	1,85	38,55
1918	12,30	58,50	19,48	50,51 *)

*) სტატისტიკურ ბიუროს ბიულეტენი წარსულ წლის აგვისტოს ნომერი.

ამ ცხრილიდან ნათლად დაინახავთ, რომ ქალაქის უმთავრესი შემოსავლის წყარო არის გადასახადი შეფასების კვალობაზე.

მართალია შეფასების კვალობაზე გადასახადის შემდეგ ყურადღებას იპყრობს შემოსავალი წარმოებათაგან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გაწეულ ხარჯების რაოდენობას, დავრწმუნდებით, რომ ქალაქს წარმოებათაგან სრულიად მცირედი შემოსავალი აქვს. ქალაქის თვითმმართველობათა უმრავლესობა ისე უყურებდა და ბევრი დღესაც ისე უყურებს მუნიციპალურ წარმოებათ, რომ იგინი არ უნდა იყვნენ შემოსავლიანი, მათ საკუთარი გასავალი საკუთარი შემოსავლით უნდა დატარონ და მოგებას არ უნდა ეტანებოდნენ. ასეთი შეხედულება ქალაქის ყველა მუნიციპალურ წარმოებაზედ საზოგადოთ სწორე არ არის. შემოსავლიანი უნდა იყოს, თუ არა, მუნიციპალური წარმოება,—ეს დამოკიდებულია თვით წარმოების ხასიათზედ და ნაწარმოების თვისებაზედ, და თუ იგი ფართო მასსისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მას არ შეუძლიან ქალაქისათვის მომგებიანი იყოს. მეორე შემთხვევაში, ე. ი. თუ ქალაქი აწარმოებს თუფუნების ნივთებს, საგნებს, რომელიც ფართო მასსისათვის პირველ მოთხოვნილების საჭიროებას არ წარმოადგენს, მას არ შეუძლიან მომგებიანი არ იყოს. დღევანდლამდის ქალაქის თვითმმართველობანი თავის მოღვაწეობის მთავარ მიზნათ ისახედნენ მცხოვრებთა პირველ საჭიროების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასეთები იყო: წყალი, ხორცი, პური, განათება ქუჩებისა და სხვა. მეორე ხასიათის წარმოებისათვის მათ საშუალება არა ჰქონდათ, რადგან პირველ საჭიროების მოთხოვნილებასაც, უსახსრობის გამო შეტათ ძნელად იკმაყოფილებდნენ. ქალაქების ასეთი მდგომარეობის წყალობით წარსულში და დღეს მუნიციპალურ მოღვაწეთა შორის ტრიანგლებდა და ტრიანგლებს ორ-ნაირი აზრი, ორის სხვა-და-სხვა კლასის და სხვა-და-სხვა მსოფლმხედველობის ჯგუფში.

დემოკრატია ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს, რომ წარმოებათა მუნიციპალიზაციის მიზანი არის საჭირო საგნების თვისების გაუმჯობესება და მათი გაიადფება და არა მოგება, მეორე ჯგუფი—ბურჟუაზია და სახლის პატრონები, რომელნიც განაგებდნენ ქალაქის ბედს უკანასკნელ რევოლუციამდე,—წინააღმდეგის აზრისა იყვნენ და არიან. მათ სურდათ პირველ მოთხოვნილებათა საგნებზედ დიდი გადასახადი დაეწესებინათ, ამ გზით შეეცსოთ ქალაქის კასსა და მით შეემცირებინათ საკუთარი გადასახადი მათ კუთვნილ უძრავ ქონებაზედ.

აი რას ამბობს ოფიციალური ანგარიში რუსეთის სახელმწიფო საბჭოსი 1902 წელს: „ქალაქის საბჭოებს ეზინიანთ ბინის მოჭირავები ხმოსნებათ არ გახდნენ. ეს გამოჩნდა იმ ცნობებიდან, რომელიც შეკრიბა სახელმწიფო საბჭომ საბინაო გადასახადის თვითმმართველობათათვის გადაცემის შესახებ. 591 ქალაქიდან მხოლოდ 246 ქალაქმა მოისურვა ამ გადასახადის მიღება, დანარჩენმა 346 უარი განაცხადა ამ გადასახადის მიღე-

ბაზედ, რადგან მის მიღებასთან დაკავშირებული იყო ბინის მოჭირავეთა მონაწილეობა ქალაქის თვითმმართველობაში.

საბჭოს ასეთი შემადგენლობა თავისებურ დაღს ასვამს ქალაქის წარმოებათაც, მაგალითად, სასაკლავოს; იქ დიდ ფასებს აწესებდნენ საქონლის დაკვლაზე და ხორცს ხელოვნურად აძვირებდნენ; ეს დიდი ფასი ხორცზე არა პირდაპირი გადასახადია მცხოვრებლებზედ გაწერილი, სამაგიეროთ შესაძლებლობას აძლევს მათ აღარ მოუმატონ შეფასების კვალობაზე გადასახადს“.

ეს ნათლად სჩანს ზემოთ მოყვანილ ცხრილიდან. ძველი ცენზიანი თვითმმართველობა თბილისისა თავის წარმოებათაგან იღებდა წმინდა შემოსავალს ბიუჯეტის 12, 18, 20, 22, 25 პროცენტს, ახალი თვითმმართველობა კი 1917 წელს მთელი ბიუჯეტის 7% ადებს წარმოებებს, ხოლო 1918 წელს წარმოებანი მას მთელი ბიუჯეტის 7% მოგებას აძლევენ (საბოლოოდ არ არის გამორკვეული).

ზემოთ ნათქვამიდან სჩანს, რომ სანამ ქალაქს აქვს მარტო ისეთი წარმოებანი, რომელნიც ფართო მასის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, რაიმე დიდ შემოსავალს ამ დარგიდან მით უმეტეს მის გადაქცევას ქალაქის შემოსავლის მთავარ წყაროთ არ უნდა ველოდეთ.

მაშასადამე, ქალაქის ბიუჯეტში ჯერჯერობით პირველი ადგილი ისევ გადასახადებს ეჭირებათ და ამ უკანასკნელთა შორის უმთავრესი იქნება გადასახადი შეფასების კვალობაზე.

ქალაქ თბილისში უძრავ ქონებათა შეფასება მოხდა 1874, 1885, 1897 და 1913 წ.წ., დაახლოვებით ათ წელიწადში ერთხელ.

წლები.	ჯამი ქალაქის ქონებათა შეფასების მანეთებში.	შ ე ნ ი შ ვ ნ ა.
1874	25.328.333	ამ შეფასებაში შედის ნაწილი სახაზინო და სასულიერო უწყებების უძრავი ქონებისა, რომელიც შეფასების კვალ. გადასახადისაგან თავისუფალი იყო.
1885	42.653.884	
1897	65.094.585	
1913	111.969.591	

მაშასადამე საზოგადო ღირებულება მამულებისა თბილისში 1913 წლის ბოლოში, ე. ი. ორმოცი წლის განმავლობაში, გაზრდილა 342%, ანუ საშუალოთ თითოეულს ათ წელიწადში 85,5. მაშასადამე მამულების შეფასების მეორე წელსვე, და მით უმეტეს მეცხრე და მეათე წელს ქალაქის შეფასება სრულიად აღარ შეეფერებოდა მათ ნამდვილ ღირებულებას და ქალაქი ყოველწლივ კარგავდა შემოსავალს, ამასთანავე ყოველწლივ ირღვეოდა თანაბრობა გადასახადისა, რადგან თუ ერთი მამულის ღირებულება და შემოსავალი იზრდებოდა, მეორე ღირებულებას კარგავდა და შემოსავ-

ვალი უმცირდებოდა, გადასახადი კი ძველი რჩებოდა. ამგვარად ირ-
ლვეოდა თანაბარობა გადასახადისა და ეს გარემოება მიზეზი ხდებოდა უსა-
მართლო გაბეგვრისა. კანონმდებელს, უეჭველია, ამ უსამართლობის შესუ-
სტება, გადასახადის თანაბარობის ცოტათ თუ ბევრათ განმტკიცება სურ-
და, რომ დააწესა უძრავ ქონებათა შეფასება ხუთ წელიწადში ერთხელ
(იხილე „დებულების“ მე-10 მუხლი).

გადასახადთა სისტემაში თანაბარობას ყველაზედ მეტი ყურადღება
უნდა მიექცეს. ერთი მოხარკე არ უნდა იბეგრებოდეს მეორეზედ მეტათ,
თუ მათ ერთი ღირებულების ქონება აქვთ. თუ ეს თანაბარობა დაირღვევა,
უსამართლო დაბეგვრას ადგილი ექნება და ეს კი ხელს უწყობს თვით გამ-
ბეგრავის ავტორიტეტის დაცემას და, თუ ეს გამბეგრავი თვითმმართვე-
ლობა არის, მაშინ ხალხის თვალში ეცემა თვით იდეა თვითმმართველო-
ბისა.

თანაბარობა გადასახადისა უძრავ ქონებაზედ ყოველთვის დარღვე-
ული იქნება თუ უძრავ ქონებათა ერთი შეფასებიდან მეორე შეფასებამდის
დიდი ხანი გაივლის, თუნდაც იდეალური იყოს პირველი შეფასება.

თანაბარობის დაცვას დიდს ყურადღებას აქცევენ დასავლეთ ევრო-
პის ქალაქები და ამიტომ ბევრგან უძრავ ქონებათა შეფასება ყოველწე-
ლიწადს ხდება. პრუსიის ბევრს ქალაქებში და თვით ბერლინში უძრავ ქო-
ნებათა შეფასება ხდება ყოველწლივ; ავსტრიაში კანონის ძალით ზოგ
ქალაქებში შეფასება ხდება ყოველწლივ, ზოგში კი ორ წელიწადში ერთ-
ხელ. ისეთ დიდ ქალაქში, როგორც არის ლონდონი, შეფასება ხდება ყო-
ველწლივ ყოველგვარ ხარჯების მოურიდებლად.

მართალია ქალაქს უფლება აქვს მამულების ნაწილობრივ შეფასე-
ბისა, მაგრამ თანაბარობის დარღვევა უფრო ხშირათ შედეგია მამულის ამ
ნაწილობრივ გადაფასებისა.

კანონში ნათქვამია—ნაწილობრივი გადაფასება შეიძლება მოხდეს
მხოლოდ ახლად აგებულ შენობებისა, მიშენების ან არსებულ შენობების
გადაშენების შემდეგ, თუ მას მამულის ღირებულების და დანიშნულების
შეცვლა მოჰყვა, ან და მამულის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების
დროს ცეცხლის, წყალდიდობის, მიწისძვრის ან დანგრევის გამო. უკანას-
კნელი შემთხვევა გასაგებია და სამართლიანიც არის, რადგან ამ მამულის
ღირებულების შეცვლის გამო შეფასების კვალობაზე გადასახადიც ან შემ-
ცირებულ უნდა იქნას, ან სრულიად უნდა მოეხსნას, თუმცა ამ შემთხვევა-
შიაც მრავალ უსამართლობას აქვს ხოლმე ადგილი. ერთ ქალაქის ცხოვრე-
ბაში ასეთი მაგალითი იყო: 1910 წელს შეფასებული მამული ცეცხლის
გაჩენის შემდეგ 1919 წელს ხელმეორეთ იქნა შეფასებული. 1910 წელში
შენობა შესდგებოდა 8 ოთახისაგან და შეფასებული იყო განსაზღვრულ
ფასში, ცეცხლის შემდეგ დარჩა ორი ოთახი. მამულის პატრონმა გამგეობას
სთხოვა შეეფასებინათ მისი მამული, რათგან ცეცხლის შემდეგ მას რო-

გორც ღირებულება, ისე შემოსავალი დააკლდაო. 1919 წელს დაძვასებ-
ლებმა მამული დააფასეს დროს მიხედვით და გამოვიდა—დაწვის შემდეგ
მამული ათჯერ მეტი ღირებულა, ვინემ დაწვამდის და შეფასების კვალო-
ბაზე გადასახადიც ათჯერ გაუდიდა. ჩვენ აქ მოვიყვანეთ უკიდურესი მა-
გალითი იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად უსამართლო შეიძლება იყოს
სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა პირობებში მომხდარი შეფასება. ხში-
რია აგრეთვე როგორც უსამართლობა ისე გადასახადის თანაბარობის დარ-
ღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც მამული ფასდება შეფასების ვადაზედ
აღრე მისი აშენების, გადაშენების და მიშენების შემდეგ.

ახალი სახლი უნდა შეფასდეს დღევანდელ მდგომარეობის მიხედვით,
მაშასადამე იგი არ იქნება ჩაყენებული იმ პირობებში, რომელშიც იმყო-
ფებოდა სხვა მამული ათი ან ხუთი წლის წინათ შეფასების დროს. მიშე-
ნებული ან გადაშენებული მამულიც შეიძლება ახლად შეფასდეს—ამ შემთ-
ხვევებშიც ადვილად და ხშირად ირღვევა გადასახადის თანაბარობა, რად-
გან პატარა ოთახის მიშენების გამო მთელი მამული უნდა შეფასდეს და
მაშასადამე არც ის იქნება ჩაყენებული სხვა მის თანაბარ, მაგრამ უწინ
შეფასებულ მამულის პირობებში. ალბათ ამ უსამართლობის თავიდან აც-
დენა სურდა კანონმდებელს; როდესაც ვალდებულად ხდიდა ქალაქის გამ-
გეობას ყოველ კერძო შემთხვევაში გამოიტანოს დადგენილება შეფასდეს
თუ არა ესა თუ ის მამული ვადაზედ აღრე (იხილე მუხლი 11).

მაშასადამე ყველა მანულის შეფასება უნდა ხდებოდეს თანაბარ პი-
რობებში, ამას კი მაშინ მივალწევთ თუ ყველა მამულები ერთდროულად
იქნებიან შეფასემულნი და არა სხვა-და-სხვა დროს, ცხოვრების სხვა-და-
სხვა პირობებში.

ზემოთ ნათქვამი ეხება ცხოვრების ნორმალურ პირობებს და თუ ნორ-
მალურ გარემოებაში ცხოვრების ეკონომიური პირობების ცვლა მიხეზი
უნდა გახდეს უძრავ ქონების ახალი შეფასებისა, მით უმეტეს დღევანდელ
პირობებში, როდესაც ეს პირობები სრულიად შეცვლილია და უძრავ ქო-
ნების როგორც ღირებულება, ისე შემოსავალი სრულიად სხვა არის, დღეს
აუცილებელი საჭიროა ყველა უძრავ ქონებათა ხელახალად შეფასება.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ძველი შემადგენლობის საბჭოს
წყალობით ის შეფასებაც, რომელიც მოხდა მის არსებობის დროს, სრუ-
ლიად არ შეეფერებოდა უძრავ ქონებათა ღირებულებას შეფასების პირ-
ველ დღესვე, რადგან ძველი საბჭო ცდილობდა გადასახადის ხელოვნურად
შემცირებას, როგორც ამას ამოწმებს სახელმწიფო საბჭოს 1902 წლის ზე-
მოთ მოყვანილ ანგარიში.

1892 წ. საქალაქო დებულების ძალით შეფასების კვალობაზე გადასა-
ხადისაგან თავისუფალნი იყვნენ: 1) იმპერატორის სასახლენი, 2) იმპერატორის
კაბინეტის გამგებლობაში მყოფი უძრავი ქონებანი, 3) საუფლისწულო
შენობანი, რომლებშიც მოთავსებულნი იყვნენ მთავარი სამართველო და

ოლქების სამმართველოები, 4) სახაზინო შენობები, რომლებშიც მოთავსებული იყვნენ მთავრობის დაწესებულებანი, 5) სახაზინო შენობები, რომლებშიც მოთავსებული იყვნენ ოფიცრები, მოხელეები და ჯარის კაცები, 6) საქველმოქმედო დაწესებულებათა და სასწავლებელთა კუთვნილ შენობების ის ნაწილი, რომლებშიც მოთავსებული იყვნენ თვით ეს დაწესებულებანი, 7) სასულიერო უწყებათა. როგორც ქრისტიანთა ისე არა ქრისტიანთა სარწმუნოებისა, თუ ამ ქონებას შემოსავალი არ მოაქვს, 8) რკინის გზის საჭიროებისათვის არსებული მამულები და შენობები და 9) საბჭოს დადგენილებით და გუბერნატორის დადასტურებით მცირე შემოსავლიანი მამულები.

ქალაქ თბილისში უძრავ ქონებათა უკანასკნელი შეფასება მოხდა თანახმად ზემოთ მოყვანილ კანონისა, რომლის ძალით მრავალი ქონება შეფასების კვალობაზე გადასახადისაგან დღესაც განთავისუფლებულია, მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონით ისინი დაბეგრილნი უნდა იყვნენ.

შემდეგი ცხრილიდან დავინახავთ რამდენი მამული იყო თბილისში სახაზინო ან სასულიერო უწყებისა და რა მცირედი ნაწილი ამ მამულებისა არის დაბეგრილი:

ს ა ხ ა ზ ი ნ ო მ ა მ უ ლ ე ბ ი .

უძრავი ქონებათა რაოდენობა.	საერთო შეფასება.	გაბეგრილია.
361	13.728.759 მან.	3.128.483 მან.

ს ა ს უ ლ ი ე რ ო უ წ ყ ე ბ ი ს მ ა მ უ ლ ე ბ ი .

381	4.919.253 მან.	1.734.285 მან.
სულ 742	18.648.012 მან.	4.862.768 მან.

მაშასადამე სახაზინო და სასულიერო უწყების ყველა მამულების შეფასების მსოლოდ 26% გაბეგრილია. დანარჩენი 74% კი თავისუფალია ყოველგვარ გადასახადისაგან. და ეს იმ დროს, როდესაც არსებული კანონით სახაზინო მამულები ყველა დაბეგრილნი უნდა იქნენ, ზოგი ნახევრათ, ზოგი სრულად. რაც შეეხება სასულიერო უწყების მამულებს, აქედანაც ახალი კანონით ბევრათ მეტი უძრავი ქონება იბეგრება შეფასების კვალობაზე გადასახადით, ვიდრე იყო წინათ. აქედან ნათლად სჩანს, რომ თუ

ქალაქმა აქამდის არ მოახდინა უძრავ ქონებათა შეფასება ამით მან უკვე დაკარგა რამდენიმე ასი ათასი ამ გადასახადისა და შემდეგშიც დაკარგავს თუ შეფასება უძრავ ქონებისა დაავიანა.

ამის გარდა, ქალაქების ფინანსიური მდგომარეობა მეტად გაკირებულა, ხარჯთ-ალრიცხვის შესრულება ყველა ქალაქებისათვის უდღეფიციტოთ შეუძლებელია და ეს გარამოებაც სავალდებულოდ ხდის ქალაქებისათვის სასწრაფოთ მოახდინონ უძრავ ქონებათა შეფასება, რომ ცოტა ზაინც-გა-იმოასწორონ ქალაქის ფინანსები.

მაშასადამე უძრავ ქონებათა შეფასება დაუყონებლივ უნდა მოხდეს:

1) კანონის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად,

2) გადასახადის თანაბარობის აღსადგენათ,

3) შეფასების სინამდვილესთან დასაახლოვებლად,

4) ძველის კანონით გადასახადისაგან თავისუფალ მამულების დასაბეგრათ,

5) ფინანსების გამოსასწორებლად.

დღეს ქალაქები ფიქრობენ მოახდინონ უძრავ ქონებათა შეფასება იმ გზით და საშუალებით, რომელიც ნაკლებ ხარჯებს ითხოვს. ზოგი ფიქრობს მექანიკურად შეფასების გადიდებას, ზოგნი სანიმუშო შეფასებას და იმის მიხედვით დანარჩენ მამულების შეფასებას.

მაგრამ არსებული საქალაქო დებულება განსაზღვრავს ამ შეფასების წესებს მე-19, 20 და 21 მუხლში და თუ რაიმე მიზეზით ასეთი შეფასება არ მოხდება, ქალაქი ვალდებულია იხელმძღვანელოს არსებული სახაზინო შეფასებით, ან და კანონმდებლობის გზით გაატაროს ის სახე შეფასებისა, რომელიც თვითმმართველობას სურს.

შეფასების კვალობაზე გადასახადი და საფუძველი შეფასებისა.

შეფასების კვალობაზე გადასახადი უძრავ ქონებაზედ, თავისი ბუნებით განსხვავდება გადასახადისაგან პირად შემოსავლის კვალობაზედ. — გადასახადი შეფასების კვალობაზედ ედება ამა თუ იმ პირის წმინდა შემოსავალს, რომელიც მას მიუღია განსაზღვრულ წელს შემოსავლის ყველა წყაროებიდან. მაგალითად, სახლის პატრონმა თავის წლიურ შემოსავალში უნდა უჩვენოს ხარჯთ-ამკრებ ინსპექციას სახლის წმინდა შემოსავალიც და ამნაირათ ეს შემოსავალიც იბეგრება სახელმწიფოს. სასარგებლოდ... მაშასადამე, გადასახადი შემოსავლის კვალობაზედ იღებს განსაზღვრულ პირს, ივანეს, პეტრეს და მის შემოსავლის მთელ ჯამს, რა წყაროებიდანაც უნდა სდგებოდეს იგი, ბეგრავს მას. რეალური გადასახადი კი, პირიქით, სრულიად არ სცნობს პირს და ეხება მხოლოდ საგანს, მამულს. ამ გადასახადით იბეგრება არა ის შემოსავალი, რომელიც ამა-თუ-იმ მამულს აქვს, მისი პატრონის შნოსა და უნარის გამო, არამედ ის შემოსავალი, რომელიც შეუძლიან მისცეს მამულმა ჩვეულებრივ დროს, მიუხედავთ მისი დღევანდელის მდგომარეობისა.

ასე უყურებს კანონი, რომელიც ამბობს: „ის მამული, რომელიც უჭირავს თვით მამულის პატრონს, ან გაუჭირავებელია, ან მიცემულია მუქთან, ან შეღავათიან პირობებში (მაშასადამე შემოსავალს ან სრულიად არ იძლევა ან იძლევა მცირედს), უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ როგორ ფასობს ასეთივე, თანაბარ პირობებში მყოფი, მამული, ქალაქის იმ ნაწილში, რომელშიც იმყოფება შესაფასებელი მამული“.

აქედან სჩანს, რომ უძრავ ქონების შეფასების დროს ქალაქმა უნდა იხელმძღვანელოს არა მამულის ფაქტიურ შემოსავლით, არამედ მამულის შესაძლო შემოსავლით ჩვეულებრივ პირობებში.

მაგრამ კანონის მე-6-სე მუხლი თვითმმართველობას უფლებას აძლევს შეფასებას საფუძვლად დაუდოს არა შემოსავალი მამულისა, არამედ მისი ღირებულება. მაშასადამე, კანონით უძრავ ქონების გაბეგვრის საფუძველი ორნაირია:—ან მამულის წმინდა შემოსავალი, ან მისი ღირებულება და ამ საფუძველის არჩევა ენდობა ქალაქის საბჭოს, გარდა გაუშენებელ მიწებისა, ფაბრიკა-ქარხნებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა, რომელნიც ყოველივე შემთხვევაში, მეექვსე მუხლის შენიშვნის ძალით, უნდა იბეგრებოდნენ ღირებულების მიხედვით.

დღევანდლამდის, როგორც ქ. თბილისი ისე სხვა ქალაქები, დაბეგვრის საფუძვლად მამულის წმინდა შემოსავალს იღებდნენ.

ღირებულების მიხედვით დაბეგვრას ქალაქები ერიდებოდნენ, მაგრამ ეს საფუძველი ნელ-ნელა იძენს მომხრეთ მუნიციპალურ მოღვაწეთა შორის, თუმცა გადაჭრით ამ საფუძვლის უპირატესობაზედ უფრო დაბეჯითებით ლაპარაკი შეგვეძლება მაშინ, როდესაც ამისი შესაფერი გამოცდილება გვექნება. მთავარი მიზეზი კი ამ საფუძვლის უყურადღებოთ დატოვებისა უნდა ეძიოთ: ძველ-ცენზიან საბჭოს არსებაში, რომელიც მესაკუთრეთაგან ამორჩეული, მესაკუთრეთაგან შემდგარი მესაკუთრეთა ინტერესებს სათუთად ეპყრობოდა და ყველა იმას უარპყოფდა, რაც მესაკუთრეთა, ან უკეთ რომ ეთქვათ, მათ საკუთარ ჯიბეს აზარალებდა.

უძრავ ქონებათა ღირებულების მიხედვით დაბეგვრის წინააღმდეგ ძველ მუნიციპალურ მოღვაწეთ ორი მოსაზრება მოჰყავდათ: პირველი—უძრავ ქონების ღირებულების მიხედვით შეფასებაში შეცდომები ადვილია რადგან ღირებულების გამორკვევა ძნელიაო; მეორე, თუ ქალაქის თვითმმართველობა ღირებულების მიხედვით დაბეგვრას მიიღებს, ხელოვნურათ ასწევს მამულის ღირებულებას, რასაც შედეგათ მოჰყვება ყველა უძრავ ქონებაზედ გაწერილ საქალაქო, საერობო და სახელმწიფო გადასახადის გადიდება. ღირებულების მიხედვით დაბეგვრის მოწინააღმდეგენი ამბობდნენ: ქალაქის თვითმმართველობა უძრავ ქონების დაბეგვრის დროს იხელმძღვანელებს თავისი კასის მდგომარეობით და, თუ მისი კასსა გაჭირებულ მდგომარეობაში იქნება, უძრავ ქონების ღირებულებას ხელოვნურათ გაადიდებს, შემოსავლის გაძლიერების სურვილით, და მაშასადამე კანონით

ნებადართულ ღირებულების 10%-ზე მეტს გადაახდევინებს მესაკუთრეთო. ამ მოსაზრებათა უსაფუძვლოება აშკარა გახდება თუ გავითვალისწინებთ შემოსავლის მიხედვით გაბეგვრის ნაკლულოვანებებს.

თუ მიღებული იქნება შეფასება შემოსავლის მიხედვით, მაშინ გაუშენებელი მამულები, რომლებიც მის პატრონთ არავითარ შემოსავალს არ აძლევენ, არ დაიბეგრებიან. ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება მუნიციპალურ პოლიტიკას, რადგან გაუშენებელი მამულის პატრონი ქალაქში და განსაკუთრებით მის შუაგულში, მაინც და მაინც ძალიან არ არის დაინტერესებული ამ მამულის გაშენებაში, ვინაიდან მას ეს გაუშენებელი მამულიც რიგიან უხილავ მოგებას აძლევს დაუმსახურებელ ღირებულების სახით. სრულიად მცირე ფასში შეძენილი მამული, სულ ცოტა ხნის შემდეგ მეტად ფასობს, რადგან ქალაქის თვითმმართველობამ ამ მამულის ახლო გაიყვანა წყალი, ტრამვაი, ელექტრონი, გააშენა მის ახლო ბაღი და სხვ. ამ შემთხვევაში, მესაკუთრის კაპიტალის, შრომის და უნარიანობის ნაყოფი არ არის მისი მამულის ფასის და ღირებულების ზრდა და მაშასადამე იგი დაუმსახურებელია. მას შეუძლია თავისი მამულის გაყიდვით ერთი ათად და ასად დაიბრუნოს დახარჯული თანხა, ამიტომ ის, როგორც ზემოთ ვთქვით, მაინც-და-მაინც ძალიან დაინტერესებული არ არის მამულის გაშენებაში.

ავიღოთ ესლა მეორე შემთხვევა გაუშენებელ მამულის დაბეგვრა ღირებულების მიხედვით იმ დროს, როდესაც გაშენებულ მამულების დასაბეგრავათ მიღებულია პატარა საფუძველი, ე. ი. შემოსავალი. ასე ბეგრავდა გაუშენებელ მამულს თბილისის ქალაქის თვითმმართველობა და ბევრი სხვა ქალაქებიც, იმ დროს როდესაც გაშენებულ მამულის დაბეგვრის საფუძველად მიღებული იყო შემოსავალი. ამ შემთხვევაში გაუშენებელ მამულზედ, როგორც ეს ხდებოდა აქამდისაც, მესაკუთრე ააგებს პატარა ქოხს და ქალაქის შუაგულში მდებარე დიდი მამული დაიბეგრება იმ ოთახის შესაძლო შემოსავლის, მიხედვით, რომელიც განზრახ აგებულია მასზედ გადასახადის შესამცირებლად. ამგვარად გადასახადის თანაბარობა დაცული არ იქნება, რაიც, როგორც ვთქვით, გადასახადთა სისტემაში დაუშვებელია.

ზემოთ ნაჩვენებ ბოროტ-მოქმედებას და უსამართლობას ადგილი არ ექნება, თუ ყველა მამული, როგორც გაშენებული, აგრეთვე გაუშენებელი ღირებულების მიხედვით იქნება დაბეგრილი.

შემოსავლის მიხედვით გაბეგვრის დროს, არსებული კანონის მე-15-ტე მუხლის ძალით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მამულის მთელი შემოსავალი, შემდეგი ხარჯების გამოკლებით: 1) სახელმწიფო და საერო-ბო გადასახადის, 2) მამულის გამგებლობის, დაცვის, დაზღვევისა და შეკეთების, 3) იჯარის, თუ შენობა იჯარით აღებულ მამულზედ არის აგებული და 4) ტროტუარის და ქვაფენილის შენახვის და შეკეთების, აგრეთვე იმ შესაძლო ზარალის გამოკლებით, რომელიც შეიძლება მოუვიდეს სახლის პატრონს ბინის გაუქრობით.

ამ მუხლში აღნიშნულ ხარჯების გამოკვლევა ბევრათ ძნელია (მაშასადამე შეცდომაც ადვილია), ვინემ მამულის ღირებულების გამოკვლევა, და სწორეთ ეს მუხლი, რომელიც უცვლელად გადმოწერილია ახალ საქალაქო დებულებაში ძველ დებულებიდან, დაუშრეტელი წყაროა იმ უკულმართობის მასაზრდოებელი, რომელსაც აწარმოებდნენ ძველი ქალაქის მამები. უძრავ ქონებათა უკანასკნელ შეფასებამდის, რომელიც 1910 წელს მოხდა, თბილისის თვითმმართველობა მეთხუთმეტე მუხლში აღნიშნულ ხარჯებს საზღვრავდა მამულის მთელი შემოსავლის 30%-ით და ეს პროცენტი დაწესებული იყო ყველა მამულისათვის ერთნაირი. დიდი შემოსავლიანი მამულის მთელს შემოსავალს ხარჯებისათვის ისეთივე პროცენტი აკლდებოდა, როგორც მცირე შემოსავლიან მამულს. პირველსავე შეხედვით უსამართლობა ცხადია, მაგრამ ეს უსამართლობა რომ უფრო ნათელვყოთ ავილოთ მაგალითი.

სახლი, რომელსაც მთელი შემოსავალი 300 მანეთი აქვს წლის განმავლობაში, 1910 წელში ხარჯავდა:

მეეზოვე (სამ სახლზედ ერთი) თვეში თუმნათ, ერთი სახლისათვის წელიწადში	40 მ.
ქუჩისა და ეზოს ფანარი	10 მ.
კვამლსადენის გაწმენდა	5 შ.
ნაგვის გადასაყრელი	25 მ.
ტროტუარის და სახლის შეკეთება დაზღვევა, სახელმწიფო, და	75 მ.
სხვა გადასახადები	10 მ.
ზარალი ბინის გაუქირაობით	20 მ.

ს უ ლ 185 მ.

მიუხედავათ ამისა. რომ აქ ნაანგარიშევი ხარჯები მეტად მცირეა, მაინც მთელი შემოსავლის 30%-ს აღემატება და შეადგენს $61\frac{2}{3}$ პროცენტს. ამგვარათ მცირე შემოსავლიან მამულს ხარჯების დასათარავათ მთელი შემოსავლის 30% რჩებოდა დაუბეგრავი, ხოლო დანარჩენი 70% იბეგრებოდა, მაშინ როდესაც დაუბეგრავი უნდა ყოფილიყო $61\frac{2}{3}$ % მთელი შემოსავლისა, ხოლო დაბეგვრილი $28\frac{1}{3}$ %.

ავილოთ ესლა მამული, რომელსაც შემოსავალი 10.000 მანეთი აქვს და გავითვალისწინოთ მისი ხარჯები 1910 წ.

მეეზოვე საკუთარი	120 მან.
ქუჩისა და ეზოს ფანარი	10 მ.
კვამლსადენის გაწმენდა	50 მ.
ნაგვის გადასაყრელი	240 მ.
ტროტუარების და სახლის შეკეთება	500 მ.
დაზღვევა და გადასახადები	500 მ.
ზარალი ბინის გაუქირაობით	100 მ.

ს უ ლ 1.520 მან.

აქ ეს ხარჯები, მცირე შემოსავლიან სახლის ხარჯებთან შედარებით, თითქმის ათჯერ გადიდებული შეადგენენ მხოლოდ 15,2% მთელი შემოსავლისა. მაშასადამე, შემოსავლიან მამულს ფაქტიურად მთელი შემოსავლის 15% ესარჯებოდა კანონში აღნიშნულ ხარჯებზედ, არ იბეგრებოდა კი შემოსავლის 30%, 15% მაგიერ, და 85% მაგიერ იბეგრებოდა მხოლოდ 70%. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია რამდენს მიიღებდა იმ მამულის პატრონი, რომლის მთელი შემოსავალიც 10.000 მან. აღემატებოდა.

მივყვეთ ციფრებს და გავითვალისწინოთ რაოდენობა მცირე შემოსავლიან მამულებისა თბილისში. სულ იყო თბილისში 1910 წელში შეფასების რაოდენობის მიხედვით მამული შეფასებული:

1.500 მანეთამდის.	1.500 მანეთიდან 10.000 მ.	10.000 მანეთიდან 30.000 მან.	30.000 მანეთიდან 60.000 მან.	60.000 მანეთიდან 100.000 მ.	100.000 მანეთზედ ზევით.
7.194	5.111	1.618	485	135	120

მაშასადამე თბილისში მყოფ ყველა მამულების 49,1 % შეადგენდნენ 1910 წელში ისეთი მამულები, რომლებიც შეფასებულნი იყვნენ 100 მანეთიდან 1.500 მანეთამდის, რომელთაც წლიური შემოსავალი 300 მანეთს არ აღემატებოდა, ისეთი მამულები, რომელნიც შეფასებულნი იყვნენ— 30.000 მან.—60.000 მანეთამდის 3, 3% ყველა მამულებისა, 100.000 მანეთამდის შეფასებული მამულები შეადგენდნენ 0,9 % და 100.000 მან. მეტად შეფასებულნი—0,8 %. აქ მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ შეფასების კვალობაზე გადასახადის მთელი სიმძიმე ხელოვნურად გადატანილი იყო მცირე მამულების პატრონებზედ და განსაკუთრებით იმ მამულებზედ, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, მამულის სიმცირის გამო. მათი მამულების წმინდა შემოსავლის გამოსაკვლევათ მათ მთელს შემოსავალს აკლდებოდა ხარჯებისათვის არა ის პროცენტი მთელი შემოსავლისა, რომელიც სიმართლეს შეეთანხმებოდა, არამედ ბევრად ნაკლები და მაშასადამე ხელოვნურად იზრდებოდა მათი წმინდა შემოსავალი, სინამდვილესთან შეუფერებლად, და ხარჯებსაც ღიდს იხდიდნენ.

როგორი თვითნებობა არსებობდა მთელი შემოსავლიდან გამოსაკლებ ხარჯების აღრიცხვაში, სჩანს შემდეგი ქალაქების ოფიციალურ ანგარიშებიდან, ქალაქები: ვიტებსკი, ორიოლი, პენზა და ელისავეტოგრადი, რომლებიც მცხოვრებთა რაოდენობა ერთნაირი იყო—60—70 ათასი სული, ერთგვარ პირობებში იყვნენ ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ, შეფასების კვალობაზე გადასახადსა ერთი და იმავე 1 % ნორმით იღებდნენ: ვიტებსკი—60.000 მანეთს, ანუ სულზედ დაახლოვებით ერთ მანეთს, ორიოლში—38.000 მანეთს, ანუ სულზედ 53 კაპეიკს, პენზაში—20.000 მანეთს—სულზედ 33 კაპეიკს, ხოლო ელისავეტოგრადში—18.000 მანეთს—სულზედ 30

კაპეიკს. სარატოვი ორჯელ დიდისა ტვერზედ, როგორც მცხოვრებთა რაოდენობით, ისე ტერიტორიით და სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობით და შესაფასებელი გადასახადი-კი პირველში მხოლოდ ორი ათასი მანეთი მეტი იყო, ვინემ მეორეში.

არსებულ კანონის შეთქმულზე მუხლი ხსენებულ უკუღმართობას ასწორებს და ხარჯებისათვის მთელი შემოსავლიდან გამოსაკლებ პროცენტის განსაზღვრის დროს ავალებს ქალაქის თვითმმართველობას სხვა-და-სხვა რაიონებისათვის და მამულის სხვა-და-სხვა კატეგორიებზედ სხვა-და-სხვა პროცენტი დააწესოს, და ამ პროცენტების გამორკვევის დროს თვითმმართველობამ უნდა მიღოს მხედველობაში: მამულის შემოსავალი, მისი ადგილ-მდებარეობა, ის მასალა, რომლითაც აგებულია შენობა, და სხვა საბუთები. მაგრამ ასეთი შესწორების შემდეგაც მრავალ უსამართლობას ექნება ადგილი. ერთგვარი პროცენტების დაწესება ხარჯების დასაფარავად რომელიმე რაიონისათვის მხოლოდ შეამცირებს უსამართლო დაბეგვრის რაოდენობას, ხოლო უსამართლობის მოსპობა ამ ზომას არ შეუძლიან, ვინაიდან კანონში ნაჩვენებ ზომას მხედველობაში აქვს ტერიტორია და არა პრინციპი. ანუ, ასე ვსთქვათ, კანონი ფიქრობს მცირე ტერიტორიაზედ უსამართლობა ნაკლები იქნებაო, რადგან მცირე ტერიტორიისათვის ერთგვარი პროცენტი სინამდვილესთან უფრო დაახლოვებული იქნება, ვინემ მთელის ქალაქისათვისაო.

მართალია, კანონი ავალებს, სხვა-და-სხვა კატეგორიების მამულზედ სხვა-და-სხვა პროცენტი დაწესდეს ხარჯების დასაფარავადო, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ თვითმმართველობა დაადგება სამართლიანობის გზას, ვალდებული იქნება შეისწავლოს თითოეული მამული და შენობა, გაითვალისწინოს მისი ადგილ-მდებარეობა, შემოსავალი, მასალა, რომლიდანაც აგებულია შენობა, და ისე გადასწყვიტოს, რომელ კატეგორიას აკუთვნოს ესა თუ ის მამული. ეს კი ტეხნიკურად შეუძლებელია და, მაშასადამე, შეცდომებიც ადვილია.

შემოსავლის მიხედვით დაბეგვრის დროს, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, მხედველობაში უნდა მიღებულ იქმნას მამულის სხვა-და-სხვა ხარჯები. სხვათა-შორის, თუ შენობა აგებულია იჯარით აღებულ მიწაზედ, მაშინ იჯარის ხარჯები გამოკლებულ უნდა იქნას მთელი შემოსავლიდან და დანარჩენი შემოსავალი დაიბეგროს, მაშასადამე, იჯარით გაცემული მამული, რომელზედაც შენობები არის აგებული, არ იბეგრება, თუმცა კი მამული შემოსავალს აძლევს მის პატრონს. ასევე უყურებდა რუსეთის უმართებულესი სენატი, რომელიც 1910 წლის 13 იანვრის განკარგულებაში ამბობს, რომ „ქალაქის და ერობის სასარგებლოთ იბეგრება ყოველი შენობა, როგორც საკუთარ მიწაზედ აგებული, ისე აშენებული იჯარით აღებულ მიწაზედ; ამ შემთხვევაში გადასახადი ხდება შენობის და არა მიწის მესაკუთრეს“.

ასე არ მოხდება თუ უძრავ ქონებათა დაბეგვრის საფუძვლათ მიღე-

ბული იქნება მამულის ღირებულება. კანონის მე-12-ტე მუხლი ამბობს, რომ, თუ ერთი პირის მამულზედ აგებულია მეორე პირის შენობა, შეფასების კვალობაზე გადასახადი ხდება მიწის მესაკუთრეს ცალკე და შენობების პატრონს ცალკე. მაშასადამე ამ შემთხვევაშიც გადასახადის თანაბრობა დაცული იქნება სრულიად.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზედ დიდი უპირატესობა ღირებულების მიხედვით შეფასებისა იმაში მდგომარეობს, რომ ამ საფუძვლით დაბეგვრის დროს იბეგრება ეგრეთ წოდებული „დაუმსახურებელი ღირებულება“ მამულისა. ქალაქის ფარგლებში არსებულ მამულებს, როგორც გაშენებულთ, ისე გაუშენებულთ, დღითი-დღე ემატებათ ღირებულება და ზედმეტ ღირებულების ზრდაში არავითარი ჯაფა მათ პატრონთ არ მიუძღვით, არავითარი კაპიტალი და შრომა მათ არ დაუხარჯიათ. ქალაქის მამულის ღირებულების ზრდა კოლექტიურ შრომის შედეგია, და თუ ვისმეს აქვს უფლება ამ ზედმეტ ღირებულებას დაადოს ხელი, ეს არის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა. თუ თვითმმართველობამ ქალაქში გაიყვანა წყალი, განათება, ელექტრონი, აავო ქარხნები, სასწავლებლები, გააშენა ბალები და სხვა, მამულის ღირებულება იზრდება მის პატრონის დაუკითხავათ, მის შრომის და კაპიტალის დაუხარჯავათ. ვერც ქალაქი მოაწყობდა ასეთს დიდს წარმოებათ, თუ სახელმწიფო არ გამოზრდიდა ინჟინერებს, ხუროთმოძღვრებს, მასწავლებლებს, არ გაიყვანდა რკინის-გზას, შინაგან წესიერებას არ განამტკიცებდა და სხვა, ამიტომ ვამბობთ: თუ ვისმეს აქვს უფლება დაუმსახურებელ ღირებულებას დაადოს თავისი ხელი, ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობა და სახელმწიფო, და ყველაზედ ნაკლებ ის მამულის პატრონს ეკუთვნის. სრულიად დამშვიდებული სინიდისით შეიძლება დაიბეგროს მამულების როგორც ძირითადი ღირებულება, ისე დაუმსახურებელი ზედმეტი ღირებულება მამულისა.

დასავლეთ ევროპის ქალაქებმა და განსაკუთრებით გერმანიის ქალაქებმა უკვე შემოიღეს დაუმსახურებელ ღირებულების დაბეგვრა. მაგრამ ტექნიკურად იგი ჯერ სასურველად მოწყობილი არა რის. გერმანიის ბევრმა ქალაქებმა უკვე შემოიღო დაუმსახურებელ ღირებულების დასაბეგრად უძრავ ქონებათა შეფასება ღირებულების მიხედვით. ამასთანავე რომ უფრო სინამდვილეცთან დაახლოვებულიყო, ეს შეფასება უძრავ ქონებათა ხდება ყოველწლივ.

მაშასადამე, თუ ღირებულების მიხედვით იქნება მიღებული უძრავ ქონებათა დაბეგვრა, გაიბეგრება მამულის ის დაუმსახურებელი ღირებულებაც, რომელზედაც ყველაზედ მეტი უფლება აქვს ქალაქის თვითმმართველობას.

ისე რომ შემოსავლის მიხედვით გაიბეგვრა:

1) ეწინააღმდეგება გადასახადის თანაბრობის პრინციპს, რადგან წმინდა შემოსავლის გამოკვლევა ხდება მთალი შემოსავლიდან გამოსაკლებ

ხარჯების თვითნებურათ განსაზღვრის გამო. 2) ეწინააღმდეგება საყოველთაო დაბეგრის პრინციპს, რადგან ის მამულები, რომელთაც შემოსავალი სრულიად არა აქვთ, დიდს ღირებულებასთან, არ იბეგრებიან, არ იბეგრება აგრეთვე იჯარით გაცემული მიწა. 3) არ შეეფერება მუნიციპალურ პოლიტიკას, რადგან გაუშენებელ მამულის გაშენებას ხელს არ უწყობს. და 4) დაუბეგრავად სტოვებს დაუმსახურებელ ღირებულებას, რაზედაც თვითმმართველობას ყველაზე მეტი უფლება აქვს.

დაბეგვრა ღირებულების კვალობაზე პირიქით: 1) ადვილად ანხორციელებს გადასახადის თანაბარობის პრინციპს, რადგან ყველა მამული ერთნაირად, ერთის ნორმით, იბეგრება.

2) ბეგრავს ყველა მამულს.

3) ხელს უწყობს გაუშენებელ მამულის გაშენებას.

4) ბეგრავს მამულის დაუმსახურებელ ღირებულებასაც.

ვ. ხახანაშვილი.

აგრონომიული ცენტრის შექმნის შესახებ.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად მოგვანიჭა უდიდესი უფლებაც—ხალხის ფართო თვითმმართველობა ანუ დამოკრატული ერობა. თითონ განაგოს ხალხმა თავისი საქმე—ესაა უდიდესი განძი. თუ ამ განძს ხალხი სათანადოთ ვერ აფასებს ან ვერ მოუხმარებია ჯეროვანათ, ეს აიხსნება მის მოუშაადებლობით, მაგრამ ეს მოვლენა დროებითია.

ერობის მნიშვნელობა და გავლენა თან-და-თან გაიზრდება და შეიქნება ერთ უმთავრეს ფაქტორათ ჩვენი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა. ამჟამად მთელ რესპუბლიკაში შემოღებულია სამაზრო ერობა და წვრილი ერთეული—თემი; ერობათა კავშირიც უკვე არსებობს და მოქმედობს.

ერთი უმთავრესი მიზანი, რომელიც დასახული აქვს ერობას,—ესაა სოფლის ეკონომიურათ გაღონიერება. ეს რთული საქმე თხოულობს მისგან განსაკუთრებულ ყურადღებას, ცოდნას და შესაფერ ზომების მიღებას. ასეთ ზომათ, სხვათა შორის, უნდა ჩაითვალოს აგრონომიულ დახმარების მოწყობა. თუკი ერობა შესძლებს მიაწოდოს ხალხს სამეურნეო ცოდნა, გამართოს ვაზის და ხეხილის სანერგეები, მისცეს მას საუკეთესო და ნაცადი სამეურნეო იარაღი—მანქანები, მოაწყოს სხვა-და-სხვა ტიპის სამეურნეო სკოლები, მოაწესრიგოს მანვე ცხოველებთან ბრძოლა, უშოვოს ხალხს თესლეულება, გაავრცელოს კარგი ჯიშის საქონელი,—ყველა ეს ზომები სოფელს ეკონომიურათ გააძლიერებს და მაშინ ხომ თვით სახელმწიფოც ძრიელი შეიქმნება. ხსენებული ზომების სისრულეში მოყვანა უნდა სავსე-

ბით იკისროს ერობამ, რადგან იგი ხალხთან ახლო სდგას და კარგათ იცის მისი ჭირ-ვარამი და გაჭირვება. დაარსებიდანვე ერობებს აგრონომიულ დახმარების მოწყობაში მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ: მას არ მოეპოვებოდა საჭირო თანხები, ვერ ეშოვნა გამოცდილი აგრონომიული პერსონალი, არ ჰქონდა გამოცდილება და ტრადიცია; ცხადია, ყველა ეს შეუშლიდა ხელს. ზოგიერთი ერობა დღესაც კი მოწყობის პროცესშია და ვერ განუხორციელებია აგრონომიულ დახმარების მინიმუმი. აგრონომიულ დახმარებას ერობაზე უფრო დიდი მასშტაბით აწარმოებს მიწათ-მოქმედების სამინისტრო. მე აქ არ ჩამოვთლი ცალ-ცალკე იმ საგნებს, რომლებსაც განაგებს სამინისტრო ამ დარგში, ვიტყვი მხოლოდ, რომ ერობები ფაქტიურათ აწარმოებენ პირდაპირ აგრონომიულ დახმარების მცირე ნაწილს, და რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო საცდელ საქმეს, სასოფლო-სამეურნეო განათლებას, ეს მთლად სამინისტროს ხელშია. ცხადია ახლად დაარსებულ ერობებს არ შეეძლოთ მეტოქეობა გაეწიათ სამინისტროსათვის, სადაც შევროვილია სპეციალისტების უმთავრესი ძალები, სადაც ამ საგნებისთვის გადადებულია კრედიტები სახელმწიფო ხაზინიდან. არც იყო საჭირო ასეთი მეტოქეობა. რამდენადაც ვიცით, სამინისტროს შეხედულებით თუ აგრონომიულ დახმარებას აქვს ადგილობრივი მნიშვნელობა, ის უნდა განაგოს ერობამ, და თუ მას აქვს სახელმწიფო მნიშვნელობა, — სამინისტრომ. იგივე სამინისტრო იტოვებს ზედამხედველის და მრჩეველის როლს აგრონომიულ დახმარების მოწყობაში, როცა ამ დახმარებას ერობა აწარმოებს. კომპენტენციის განსაზღვრა — რა უნდა გააკეთოს ერობამ და რა სამინისტრომ — ეს არც ისეთი ადვილი საქმეა და უნდა გადაწყდეს ამ ორ ორგანოთა შეთანხმებით. თუ ერობა დემოკრატიული დაწესებულებაა, თუ მას ეკისრება სახელმწიფოებრივი საქმეები, თუ მას ფინანსიური ძალა შესწევს, მან აგრონომიული დახმარებაც უნდა აწარმოოს გაცილებით უფრო დიდ მასშტაბით, ვიდრე ეს დღეს არის. მიწათ-მოქმედების სამინისტრო აგრეთვე ვერ იკისრებს მთავარს როლს იმ შემთხვევაში, როდესაც ერობას ესაჭიროება ერთმანეთის დახმარება, საერთო მუშაობა და შეკავშირება განსაზღვრულ მიზნებით.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებიდან დავინახავთ, რომ, თუ დღეს აგრონომიული დახმარება ვერ არის მოწყობილი რივიანათ, ერთ-ერთ მიზეზთაგანი არის ცენტრის უქონლობა.

დღეს ყოველი მაზრის ერობა ხსენებულ დახმარებას აწარმოებს სრულიად თავისუფლად, ერთი წესი და პრინციპი არ არსებობს მათს მუშაობაში, არ მოქმედობენ ეკონომიური და აგრონომიული საბჭოები. თუ ზოგი ერობის მუშაობა მისაღებია ამ დარგში, ზოგან აგრონომიული დახმარება ისე სუსტათ არის დაყენებული, რომ საქმისთვის მარტო ზიანი მოაქვს. ბევრ ადგილას ფინანსიური სისუსტის გამო ერობა ხელს იღებს აგრონომიულ დახმარების მოწყობაზე მაზრაში. ვინ უნდა ჩაერიოს საქმის გამო-

სასწორებლად მოყვანილ შემთხვევებში? მე მგონია, რომ სამინისტრო ამ საქმეს ვერ უშველის, საჭიროა ერობები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, აქ საქმეში უნდა ჩაერიოს ერობათა კავშირი და ამისთვის კი საჭიროა შეიქმნეს შესაფერი აპარატი.

ავიღოთ ხეხილების მანებლებთან ბრძოლა, თესლეულობის შექმნა, სამეურნეო მანქანების შეკვეთა და შოვნა, სამეურნეო წიგნების და პლაკატების გამოცემა—ყველა ამას კისრულობს სამინისტრო და ვიკითხოთ, როგორ ასრულებს ამ საქმეებს? უკეთეს შემთხვევაში იგი ვერ უძღვება ამ საქმეების ნახევარსაც. ადვილათ გასაგებია, რომ, თუკი ჩვენ შევძლებთ მთელი რესპუბლიკის ერობების აგრონომიულ პერსონალის შეკავშირებას, ხსენებულ საქმეებს უფრო კარგათ და ხეირიანად გააკეთებს ის ცენტრი, რომელიც ამ ძალების შემაკავშირებელი იქნება.

იბადება საკითხი, რა კონსტრუქციისა უნდა იყოს ეს მომავალი აგრონომიული ცენტრი, რომ ერთი მხრივ არ გადაიქცეს იმავე ცენტრალურ ბიუროკრატიულ დაწესებულებად, როგორცაა სამინისტრო, და მეორე მხრივ—შესძლოს ყველა აღნიშნული ზემოთ საკითხები გადასჭრას საერთო ადგილობრივი ინტერესების მიხედვით. მაზრის ერობას ექნება სრული თავისუფლება მუშაობაში და ეს ცენტრი 1) დაეხმარება მას მისივე თხოვნით აგრონომიულ დახმარების მოწყობაში, 2) გაუწევს აგრონომიულ პერსონალს კონტროლს ადგილობრივი ერობის ნებართვით და თხოვნით, 3) გახსნის სამეურნეო სკოლებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს რამდენიმე სამაზრო ერობისთვის, 4) გამოსცემს სამეურნეო წიგნებს და პლაკატებს, 5) აწარმოებს სამინისტროსთან ერთად ნიადაგის და ჰაერის გამოკვლევას, 6) აწვდის ერობებს საჭირო სამეურნეო იარაღს, თესლს, საწამლავ მასალას, 7) მართავს სამეურნეო და ეკონომიურ კითხვების გამოსარკვევად ყრილობებს და კრებებს, 8) ერობების საერთო ყრილობის ყოველივე დავალება მოჰყავს სისრულეში.

ეს ცენტრი არსდება ერობათა კავშირთან და პასუხისმგებელია ერობათა ყრილობის წინაშე. იგი უნდა შეინახოს ერობათა კავშირმა. ამ ცენტრს დაერქმევა „მთავარი აგრონომიული განყოფილება“. ამავე ერობათა კავშირთან იქნება მოწყობილი მთავარი აგრონომიული საბჭო, რომელიც შესდგება ერთი მხრით ცალკე ერობათა წარმომადგენელთაგან, მეორეს მხრით მასში შევლენ წევრებათ: 1) ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი, 2) მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი, 3) სხვა-და-სხვა სპეციალისტები როგორც სამინისტროსი, აგრეთვე მთავარ-აგრონომიულ განყოფილებისა, 4) მაზრის ერობები, 5) ცენტრალურ სამეურნეო საზოგადოების და კოოპერატივების წევრები და 6) ყველა ის პირი, ვისაც ერობათა კავშირი მოიწვევს. ამ მთავარ აგრონომიულ საბჭოში იქნება განხილული საერთო გეგმა მთელ რესპუბლიკაში აგრონომიულ დახმარების მოწყობისა, განიხილება ხარჯთ-აღრიცხვა მთავარი აგრონომიული განყოფილებისა, შე-

მუშავდება მოხსენებანი ერობათა საერთო ყრილობაზე წარსადგენათ. მთავარი ან ცენტრალური აგრონომიული განყოფილება შესდგება შემდეგ პირებისგან: განყოფილების გამგე, რომელიც ამავე დროს არის ერობათა კავშირის კომიტეტის წევრი, სხვა-და-სხვა სამეურნეო დარგის სპეციალისტები—მემინდვრობის, მესაქონლეობის, ძვირფასი მცენარეთა კულტურის, კოოპერაციის და სხ.

მე აქ არ გამოვეციდები დეტალიცაზიას და არ მოვიტხოვ, რომ დღესვე მთავარ აგრონომიულ განყოფილებამ აამუშაოს ყველა თავისი განყოფილება. მე მხოლოდ ვამტკიცებ, რომ ასეთი ცენტრის დაარსება საჭიროა ეხლავე. ერობათა კავშირის კომიტეტმა უნდა იკისროს ამ საქმის მოწყობა: დასაბუთებული მოხსენება უნდა წარუდგინოს საქართველოს ერობათა ყრილობას და მოითხოვოს საჭირო თანხები ამ საქმის განსახორციელებლად. ამნაირათ სამინისტროს ხელში რჩება: უმაღლესი და საშუალო სამეურნეო სკოლების მართვა-გამგეობა, საცდელი საქმე და მეცნიერული მხარე და გამოკვლევა მეურნეობაში. დანარჩენი უნდა იკისროს მაზრის ერობამ, თემმა და ერობათა კავშირმა. თუ ამისთვის ამ უკანასკნელთ არ შესწევთ ჯერ არც მატერიალური, არც მორალური ძალა, ეს არის დროებითი მოვლენა და უნდა ვეცადოთ თავი დავახწიოთ ამ გაჭირვებას. ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ რაც შეიძლება ჩქარა შევქნათ ერობათა მუშაობის შემაკავშირებელი, აგრონომიული ცენტრი. ეს უკანასკნელი გადაიქცევა მომავალში ერთ უდიდეს ფაქტორათ ჩვენ მეურნეობაში.

უამისოთ კი ვერ დავახწევთ თავს ზემოთ ჩამოთვლილ გაჭირვებას და შევაფერხებთ ეკონომიურ განვითარების ნორმალურ გზას.

ი. ქურდიანი.

სიღნაღის მამრის სკოლების მდგომარეობა*).

(დასასრული).

7. მასწავლებელი რევოლუციამდის.

დავაკვირდეთ ჯერ მასწავლებელს, რომელსაც ვაკისრებთ ისეთს საპატიო და მძიმე მოვალეობას როგორც ხალხის განათლება.

მასწავლებელი არა თუ ნაწილია სკოლის, ის არის მისი მთავარი მამოძრავებელი ღერძი, მისი სული და გული. ნახეთ და გაიცანით მასწავლებელი და სკოლასაც გაიცნობთ. შეიძლება სკოლას აკლდეს პარტები, დაფა, სურათები, თვით წიგნიც კი, მაგრამ თუ მასწავლებელი ჰყავს, დანარჩენი „ყოველივე მიეცემა მას“.

იმ ქარიშხალს, რომლის დამლუპველი გავლენაც ეტყობა სკოლას, ყველაზე უფრო და ადრე სწორეთ მასწავლებელი გაუნადგურებია. და განადიდი და მძლავრი ქარიშხალი იყო საჭირო ამისათვის? მოიგონეთ ძველი სახალხო სკოლის მასწავლებელი. მოიგონეთ როგორი იყო ის ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამი თუ ოთხი თუმანი თვეში ავათ თუ კარგათ კუჭს მაინც უძღობდა მას და მის ოჯახს, როცა მას შეეძლო გადაერჩინა ჯამაგირიდან ჟურნალ-გაზეთებისათვის ორიოდ გროში მაინც; შეეძლო საღათ, მაგრამ სუფთად მაინც ყოფილიყო ჩაცმული; გამოეხარდა შეიღები საშუალო სასწავლებელში მაინც; მოკლილ დროს, თუნდ თვეში ერთხელ, გადაეგლო თვალი პედაგოგიური ნაწერებისათვის. სოფლის მასწავლებელი მაშინაც, სოციალური კიბის ერთ უკანასკნელ საფეხურზე იდგა მთელ რუსეთში და ჩვენშიაც. იშვიათად თუ გამოანათებდა სოფლის სკოლაში სპირიდონ მცირიშვილისებური ნათელი სახე. იშვიათად გამოერეოდა დამლუპველი სასკოლო პოლიტიკის მორჩილთა გროვაში გაბედული პროტესტანტი. განსაკუთრებით მკრთალი უნდა ყოფილიყო მასწავლებლის სახე იქ, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება ზანტათ ვითარდებოდა; სადაც გარშემო გამეფებული იყო აზრის უმოდრაობა. ყველაფერი საშინელი კი ამ ცხოვრებაში მისი გარეგნული მოუწყობლობა იყო, კულტურულ პირობების ნაკლებობა. ამ უკანასკნელი გარემოების წყალობით ხომ თვით ჭეშმარიტად განათლებული ადამიანიც ადვილად ჩამოქვეითდება ხოლმე, თუ ის წლითი-წლობით ამ პირობებში ცხოვრობს და არავითარი მატერიალური რესურსი არა აქვს, რომ პირადი ცხოვრება მაინც უფრო კულტურულათ მოაწყოს. სოფლის მასწავლებელი უკეთეს შემთხვევაში სემინარიელია. ხშირად მას მხოლოდ სასულიერო, ან სამოქალაქო სასწავლებელი აქვს დასრულებული; არიან ისეთებიც, რომელთაც ორი კლასი გაუთავებიათ და შერე, რის ვაივაგლახით, ჩაუბარებიათ სახალხო მასწავლებლის გამოცდა; საუკეთესო სურვილებითაც რომ ყოფილიყო ის აღჭურვილი, თან-და-თან მიიღრეკდა ქედს მძლავრი ცხოვრების წინაშე; თან-და-თან წარიხოცებოდა მასში მცი-

*) იხ. ჟურნალი „ერობა და ქალაქი“ № 3.

რედი უპირატესობა ინტელიგენტობისა, რაიც მას განარჩევდა სოფლის მცხოვრებთაგან. და აი ამ ადამიანებს ანაზღვეულათ, შორეული ქუხილივით გადაუარა თავზე რევოლუციის გრგვინვამ. იმათ ვერ მოასწრეს გამოორკვევა იმ როლის, რომელიც მათ ახალ წყობილებაში უნდა ეკისრათ, ვერ მოასწრეს თვით ამ ახალი წყობილების გაგება, ამ დიადი ცვლილების განჭვრეტა, როცა ახალი დრო დავისი უარყოფითი მხარეების მთელი სიმძიმის რისხვით დაატყდა მათ თავს. ცოცხალი ცხოვრებისა და შემოქმედების გარეშე ყოფნა და უკიდურესი ნივთიერი გაჭირება ერგო ახალ წყობილებისაგან მასწავლებელს.

8. ს ა მ ი ხ ა ნ ა .

რევოლუციის დასაწყისიდან დღემდის ჩვენმა სახალხო სკოლამ და მასთან ერთად მასწავლებელმა სამი ხანა განვლო. პირველი - ხანა ძველის ნგრევისა. ეს იყო უსაშინლესი არევ - დარევის ხანა - როცა სკოლას ძველი მესვეურები ჩამოეცალენ, მაგრამ ახალ მესვეურს ჯერ საჭე ხელში მტკიცედ არ ეჭირა და ფაქტიურად სკოლა უნესვეურით დარჩა. ეს იყო გრძელი და მეტად გამანადგურებელი ხანა: აქედან მიეცა დასაბამი საყოველთაო უპასუხისმგებლობას სასკოლო ასპარეზზე მომუშავეთა შორის.

როცა ძველის გაცილებას და ახლის მოლოდინს თითქმის ბოლო მივღო, როცა ქართული სკოლები ქართველების ხელში გადავიდა და სათავეში მათ სვე - ბედს ქართველი მოექცა, დადგა ხანა მასწავლებელთა უჯამაგირობისა. ეს იყო მეორე საშინელი განსაცდელი, რომელიც სკოლას მოევლინა. მეორე ხანის გავლენა პირველისაზე გაცილებით უფრო გამანადგურებელათ დაეტყო სკოლას; იმიტომ რომ უჯამაგირობის ხანაში უპასუხისმგებლობა არა თუ ვერ ამოიფხვრებოდა, მან თითქოს მორალური საბუთებიც ჰპოვა. წარმოიდგინეთ რომელიმე მიყრუებულ სოფლის მასწავლებელი, რომელსაც მთელი ორი წლის განმავლობაში არ უხილავს „რევიზორი“, რომელმაც ზოგჯერ არც კი იცის, ვინ ხელმძღვანელობს მის უწყებას; არ იცის, როგორ უნდა გაატაროს მან საჭირ-ბოროტო ნაციონალიზაცია, რა სახელმძღვანელოები შემოიღოს ნაცვლად ძველისა - ის დაბნეულია. მას არა აქვს იმდენი ძალა, რომ თითონ გაერკვიოს, ალლო აულოს იმ ახალ მიმდინარეობათ, რომელთა სუსტი ქროლვა ძლივს ხვდება მას. ხელმძღვანელი არსად სჩანს. პროვინციების კავშირი ცენტრთან შესუსტებულია, მიმოსვლა და ფოსტა-ტელეგრაფის მოქმედება წესიერი არ არის. ღეთის ანაბარათ მიტოვებულ სოფელში გაზეთს თვეში ერთხელ თუ მოიტანს შემთხვევით ვინმე მადლიანი, და მასწავლებელმა, ისე, როგორც მთელმა სოფელმა არ იცის ქვეყნის ამბავი: ამავე დროს მასწავლებელს ჯამაგირიც მოუსპეს. გადის თვე, ორი თვე, ხშირათ სამი და ოთხიც, მასწავლებელი ჯამაგირს ვერ ეღირსა. მისი გოდება არავის ესმის. ის ხედავს,

რომ ჯამაგირით. დაკმაყოფილების ღირსად მიაჩნიათ ყოველი სხვა უწყების მოხელე,-- ანგარიშს უწყვენ რკინის გზის მოსამსახურებს, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ, მილიციონერებს, მასწავლებლებს კი არა. (მოიგონეთ მასწავლებელთა გაფიცვა გორის მახრავში ჯამაგირების მიუღებლობით გამოწვეული. ეს გაფიცვა გრძელდებოდა თვეობით). მასწავლებელი ველარ გრძნობდა მზურნველობას ცენტრიდან; ვერ ხედავდა მეთვალყურეს და ხელმძღვანელს; მას თან-და-თან ის აზრი ეპარებოდა, რომ მასწავლებელი ახალ წყობილებაშიაც სოციალური კიბის უკანასკნელ საფეხურზე დარჩება; რომ სახელმწიფო ყველაზე ადვილათ გაიმეტებს მოსამღურებლად. ასეთი ფიქრი ეპარებოდა სოფლის სკოლების მასწავლებელთა უფრო და უფრო დიდ რიცხვს; მათ თან-და-თან უტრუფდებოდათ გული საქმეზე; სულ უფრო ნაკლებათ გრძნობდა ის პასუხისგებას თავისი უმოქმედობისათვის. რაკი თავისა და ცოლ-შვილის გაშოკების საკითხი მწვავეთ წარსდგა მის წინაშე, განა შეეძლო მას შეუდრეკელათ დგომა თავის სადარაჯოზე? ამისათვის მას უნდა ჰქონოდა მეტათ მაღალი შეგნება და გმირული თავგანწირულება. ვერც ერთს, ვერც მეორეს ვერ მოვთხოვთ უბრალო მომაკვდავთ ჩვენს დროში.

უჯამაგირობის ხანამ, რომელიც საუბედუროთ დღესაც არ დასრულებულა, მთლად მოშალა სასკოლო ცხოვრების საფუძველი. უჯამაგირობას დაუმატეთ უშეშობა, უყურადღებობა სოფლის ადმინისტრაციის მხრივ, სრული გულგრილობა ან პასიურობა ხალხის მხრივ. მრავალი უშედეგო მიწერილობის შემდეგ მასწავლებელი შორეულ კუთხიდან დიდი ხარჯის გაწევით მიდის სამაზრო ქალაქში. პირადათ უცხადებს ერობის სასკოლო განყოფილებას, რა აუტანელ პირობებში უხდება მას მუშაობა, ითხოვს დარაჯს, გახეთს, ჯამაგირს. ხშირად დაიმედებული უბრუნდება სკოლას: მაგრამ გადის კვირა, თვე, მეორე თვე და მასწავლებელი რწმუნდება, რომ სკოლისათვის არავის სცალია. უეჭველია ამ დროიდან თვით იმ სკოლებში, რომელნიც სამაზრო ცენტრთან ახლოს იყვნენ, მთელი თვეობით აღარ წარმოებდა მეცადინეობა, ან სწარმოებდა უწყესოთ, უსისტემოთ. სკოლის მდგომარეობა ამ დროს კატასტროფიული გახდა.

და დღეს, როცა ფეხი შევდგით მესამე ფაზაში-- სკოლის ნამდვილი ვითარების გამორკვევისა და მისი ჭეშმარიტი გადახალისების დასაწყისის ხანაში, ჩვენ ვპოვებთ სკოლა თითქმის განადგურებული, მასწავლებელი წელში გატეხილი მატერიალურად და მორალურად.

9. არა-კეთილსინდისიერი მასწავლებლები.

არიან ისეთი მასწავლებლები, საბედნიეროთ მცირედი ჯგუფი, რომელთაც სრულიად დაკარგული აქვთ პასუხისგების გრძნობა. კ-ის სკოლის ერთი მასწავლებელთაგანი მთელი თვეობით არაფერს აკეთებს, ეს იცის

არა თუ სოფელმა კ-მა, არამედ მთელმა ახლო-მახლო სოფლებმა; ეს მასწავლებელი თავგამოდებით გვიმტკიცებდა, რომ სკოლა მაინც დაღუპულია, მისი გამობრუნება შეუძლებელი საქმეა და ამის გამო სრულებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს მასწავლებლის დაუდევრობაო. ასეთივე უპასუხისმგებლონი არიან ვ-ის სკოლის ყოფილი გამგე, და ამავე სკოლის ერთი ყოფილი მასწავლებელი, რომელთაც მოწაფეებში შეკრიბეს ფული სახელმძღვანელოებისათვის, წავიდნენ თბილისს და სკოლა ღვთის ანაბარად დასტოვეს, არც არავის ჩააბარეს, არც ვისმე განუცხადეს, რომ წასვლას აპირებენ. ყველაზე საინტერესოა სოფ. ა-ვკის სკოლის მასწავლებელი. შუადღის თერთმეტ საათზე სკოლის ეზოში ბავშვები ირევიათ. მასწავლებელი არსად სჩანს; ვეკითხებით ბავშვებს, იყო თუ არა რომელიმე გაკვეთილი, ბავშვები იბნევიან. ამ დროს მასწავლებლის ოთახიდან გამოდის ყმაწვილი ქალი. ეს ქალი მასწავლებელი გვგონია, რადგანაც ადგილობრივ მცხოვრებთაგან გავიგეთ, რომ ბავშვებს ქალი ასწავლის. ვეკითხებით მას, ირკვევა რომ მასწავლებელი მისი მეუღლეა და არა ის: დღეს მოულოდნელი საქმის გამო ახლო სოფელში გამგზავრებულია; ცოტა ხანში დაბრუნდება და ყველაფრის პასუხს თითონ გაგცემთო, ამბობს ქალი. სხვა გზა არ არის —საკლასო ოთახში ველოდებით ნამდვილ მასწავლებელს. სკოლის დერეფანში გაფენილი დაწეწილი მატყლი გააქვთ და გამოაქვთ მოწაფეებს ფეხებით ეზოში და საკლასო ოთახში. ეზოში და სკოლაში უსუფთაობა მეფობს. ერთი საათის ლოდინის შემდეგ მოვიდა შუბლზე ოფლ-გადახეთქილი მასწავლებელი, და განაცხადა: რადგან შეგირდების უმეტესობა ქართულის უცოდინარო ოსებია ვერაფერი შევასმინეო. მისი ნათქვამიდან უნდა ის დაგვესკვნა, რომ ბავშვებს სრულიად არაფერი ცოდნა ჰქონდათ. მაგრამ შეგირდების გამოკითხვამ გამოარკვია, რომ ბავშვებს ცოტა-რამ მაინც შეეთვისებიათ. ბევრმა მათგანმა შესძლო საკუთარი სახელისა და გვარის დაწერა დაფაზე; კითხვა თითქმის სუყველამ იცოდა. აშკარა იყო —ქმრის მაგივრად ასწავლიდა ცოლი; ქმარმა კი არც კი იცოდა, რა ხდებოდა მის დამი რწმუნებულ სასწავლებელში. ა-კის მცხოვრებლებთან საუბარმა გამოარკვია რომ მასწავლებელი მუდამ სხვა სოფელში იყო (იმ სოფელში, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ) თავის საოჯახო საქმეებზე. ბავშვებს კი, დრო გამოშვებით, ასწავლიდა მისი ცოლი. სკოლასთან გაშენებული ხეხილების მშვენიერი ბაღი მოუველელობის და უპატრონობის სურათს წარმოადგენს დღეს. საყურადღებოა, რომ ბავშვებს ორი თვის განმავლობაში არც რვეულები შეუძენიათ არც უწერიათ —ერთხელაც კი.

10. კეთილსინდისიერი მასწავლებლის მდგომარეობა.

არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომელთაც პასუხის გების გრძნობაც აქვთ და საქმის სიყვარულიც, მაგრამ აკლიათ სათანადო ცოდნა და მომზადე-

ბა. ასეთები დიდ უმეტესობას შეადგენენ. ისინი ხარბათ დაეწაფებიან გამოცდილი ხელმძღვანელის ყოველ ახალ სიტყვას, ყოველ შენიშვნას გულდასმით მოისმენენ და ანგარიშს გაუწევენ: მათ სწყურიათ ხელ-მძღვანელი, და იხვეწებიან—მოგვიწყეთ კურსები, თუნდ საშობაოდ, სააღდგომოთ, საფესულში მაინც. ყველაფერ გასაჭირს ავიტანთ, მაგრამ იმას კი ველარა, რომ ცოდნის გაფართოების გზაც დაგვეხმოსო. ცოდნის მწყურვალი და მაძიებელი მასწავლებლები უჩივიან იმას, რომ სამი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუსმენიათ ცოცხალი სიტყვა. პირიქით, რაც მათში ცოცხალი იყო, ისიც მიჩლუნვდა. გ-ს სკოლის ერთი მასწავლებელთაგანი ღრმა რწმენით გვეუბნებოდა—ოღონდ მოწყობილი ვიყოთ და არა თუ მოწაფეები, ჩვენი ხალხიც ბევრს შეიძენსო.

მაგონდება ვ-ის ქალთა სკოლის ერთი მასწავლებელი-ქალი. ის მთელი თავისი არსებით სკოლას ეკუთვნის. თავისი მზრუნველობის ერთად ერთ საგნათ ბავშვები გადაუქცევია. თელავის მაზრის მასწავლებელთა კურსებზე ჩაწერილა. შეუძენია იქ ცოტა რამ ახალი და ჩქარობს ამ შენაძენის გამოყენებას: ახატვინებს ბავშვებს, აწვრინებს თავისუფალ მოთხრობებს. მერე რა პირობებში მუშაობს ის ასე გულმხურვალეთ: „ორი თვის ჯამაგირი მიუღებელი მაქვს; არც სექტემბრის დამატება მიმიღია; კარში ვერ გამოვსულვარ; ზოგისა ფული მმართვეს, ზოგის პური, ზოგის ფქვილი“.—გვეუბნება ის.

ზოგი მასწავლებლის ავ-კარგს ვერც კი გაიგებთ: ისეთ კატასტროფიულ პირობებში ხედავთ მას, რომ არ იცით, როგორ უთხრათ საყვედური იმისთვის, რომ მეტი მუყაითობა ვერ გამოიჩინა. ახალ-გაზრდა 18—19 წლის ქალს (ვ-ის სასწ.) მიუტოვებია მშობლები და წამოსულა, როგორც აითონ ამბობს, „რომ საქართველოს ემსახუროს რითაც შეუძლია“, და საკუთარი შრომით თავი დაირჩინოს. ორი თვეა რაც ჯამაგირი არ მიუღია. ცხოვრობს მინებ ჩალეწილ ოთახში მარტოდ-მარტო. სკოლას მსახური არა ჰყავს; შეშა არა აქვს. სადილის მოსახარშავი შეშაც არ მოიძებნება. მთელი დღეებით მშიერი უნდა იყოს მასწავლებელი, თუ რომელიმე მოწაფის მშობელმა გულშემატკივრობა არ გამოიჩინა და პური არ მიაწოდა.

11. მასწავლებელთა ტრაგედია.

არ ვიცი როგორია ჩ-ის სკოლის მასწავლებელი, როგორც მასწავლებელი. ჩვენ მას შემოდგომის წვიმიან დღეს ვეწვიეთ. ეტლი რის ვაივაგლახით შეუდგა დიდი აღმართის ლაფიან გზას. აქეთ-იქით საცოდავი მიწური ქოხები მოსჩანს. აქ ხალხს მაძღრობა არ ეტყობა. ჭუჭყიანი, ნახევრათ ტიტველი ბავშვები გარეთ დანთებულ ცეცხლს მიჰფიცებებიან. ძალა-უნებურათ ვარიდებთ თვალს მათ და სკოლას ვეძებთ, აღმართიც ავიარეთ. გამოჩნდა პატარა ეკლესია და მის გვერდით დაბალი ქვის შენობა. ეს არის

სკოლა. გამოვეგება მასწავლებელი; გამხდარი, გაყვითლებული სახის ახალგაზდა. ვხედავ, რომ ძლიერ ღელავს. მოგვესალმა და საკლასო ოთახში მიგვიპატიეთა— „ორი დღეა რაც მოწაფეები დავითხოვე“, გვეუბნება ის, „აქ მეცადინეობა უშეშოთ არ შეიძლება“. შევდივართ საკლასო ოთახში. ბნელი, ნესტიანი ოთახია; ყველა ფანჯრებში ჩალეწილია სამი მინა მაინც. იატაკი ქვისაა—ცივი, როგორც ძველს ეკლესიებში. ცხადია აქ არც მაშინ შეიძლება მეცადინეობა, როცა ცეცხლი დაინთება. მასწავლებელს ჰყავს ცოლი და სამი პატარა შვილი. ისინიც აქვე არიან, ამ ოთახზე მოდგმულ საკუჭნაოში, რომელიც მასწავლებელს თავისი ხელით შეუღესავს; თავისივე ხელით მოაქვს მასწავლებელს და მის ცოლს წყალი შეგირდებისათვის, როცა სწავლა სწარმოებს. ცივ ბუხარში ნედლი ფიჩხის ცეცხლი საცოდავით ბეუტავს. ცეცხლზე დადგმულია ლობიო, რომელიც ჯერ არ წამოდუღებულა (ჩვენ ნაშუადღევს 3 საათზე ვიყავით იქ). „გადამიყვანეთ აქედან“, გვემუდნარება მასწავლებელი. „ასეთ პირობებში მუშაობა აღარ შემიძლია. აქ შარშან დაავთმყოფდი; მთელი ზაფხულის განმავლობაში ქარებით ვიყავი ავით. ორი თვეა უჯამაგიროთ ვარ. ხალხი უკმაყოფილოა იმას მისაყვედურებს, რომ ახალი შეგირდები შვიდის მეტი ველარ მივიღე. აქ სამ განყოფილებას ვასწავლი. 42 შეგირდი მყავს, ამაზე მეტის მიღება აღარ შეიძლება“. მასწავლებელს რომ ველაპარაკებით ოთახში შემოდის ადგილობრივი თემის ხმოსანი. იმასაც დიდად შესტკივა გული სკოლაზე. უსაყვედურებს მასწავლებელს, რომ მან ბავშვები უმიზეზოთ დაითხოვა; უსაყვედურებს იმასაც, რომ 100 მსურველთაგან მხოლოდ შვიდი მიიღო წელს. ცხადია ხმოსანი სასკოლო ცხოვრების უწესრიგობას მასწავლებელს აბრალებს; ელაპარაკება მას სრულიად უპატივცემულოდ; ისე როგორც მრისხანე უფროსი თავის ხელქვეით მოხელეს. მასწავლებელის პასუხში კი გამოსჭვივის დაჩაგრული ადამიანის გაბოროტება მძღარისა და მძღავრისადმი.

„— მე რომ ახალშენში ჯამაგირის ასაღებათ წავიდე (ჯამაგირს თემი აძლევს მასწავლებელს და ხშირად 10—15 ვერსის გავლა უხდება. ჯამაგირის ასაღებათ), ცხენი უნდა ვიქირავო ამისთანა ვაჭბატონისაგან“— მიუთითებს თემის ხმოსანზე— „და ხუთი თუმანი უნდა მივცე“.— ამბობს მასწავლებელი.— ერთი სიტყვით ისინი უჩივიან ერთმანეთს და თან ორივენი—სამზრო ერობას. ორჯერ აცნობეს ერობას, რომ აქ, სოფელში, არის სკოლისათვის გამოსადეგი შენობა; პატრონი უარს არ იტყვის, თუ ერობა დაამოწმებს ამ სახლის ჩამორთმევის საჭიროებას, მაგრამ ერობისაგან პასუხი არა სჩანს.

შარშან, როცა ჯამაგირები 4-5 თვით დაუგვიანდათ მასწავლებლებს, ერთ-ერთ სკოლაში ასეთი რამ მოხდა: მასწავლებელმა პირველი გაკვეთილის შემდეგ დაითხოვა შეგირდები და გამოუცხადა: წადით შინ, ცოტა მჭადი გექნებათ და მომიტანეთო.

თვალ წინ მიდგას ერთი, დამსახურებული მასწავლებლის კეთილშო-

ბილი სახე. ის მოხუცდა მასწავლებლობაში. სიყვარულით ეკიდებოდა ამ საქმეს სიჭაბუკიდან გაჭალარავებამდე. ახსენეთ მისი სახელი მის მოწაფესთან და თქვენ დაინახავთ, როგორი თბილი ცეცხლით აინთება ზავშის თვლები. საკმარისია დაინახოთ ეს ცეცხლი, რომ დააფასოთ მისი გამომწვევი მასწავლებელი: მაგრამ რა უმადურობა გამოსჭვივის თემის წარმომადგენელთა მისდამი მიმართულ სიტყვებში! მასწავლებლის მიერ სკოლასთან გაშენებული ბალი სოფელმა გააოხრა, ნერგები დაიტაცა და ჰირიქით მასწავლებელს ავსებს საყვედურით. სანთელივით ჩამომდნარი, ჩაუცმელი, დაუხურავი, უსიტყვოთ გამშრალი სდგას ის. რამ უნდა გაამხნევოს, რამ უნდა წაახალისოს? ამ საქმეს შეეთვისა და შეეზარდა მისი სული, შიმშილით სიკვდილიც რომ ელოდეს, ალბათ ახალს ვერაფერს მოჰკიდებს ხელს. ისევ უნდა ჩაიკლას გულში მწარე ნაღველი და განაგრძოს ერთხელ არჩეული გზით სვლა.

ტრაგიზმით არის აღსავსე აგრეთვე №-ის სკოლის გამგის აწინდელი მდგომარეობა. ორმოცი წელიწადი სრულდება, რაც ის მასწავლებლობს. არ ზოგავს ძალ-ღონეს. ერთგული მოსამსახურე იყო ის ძველად; მზათ. არის ერთგულათ ემსახუროს ახალ დროსაც, რომლისაც შეიძლება ბევრი არაფერი ვაეგება და არც მოსწონს. ღრმა მოხუცებულობაში შედის, მაგრამ დიდი ხნის ნავარჯიშევი და გამოცდილი მასწავლებლის ხერხიანობით ასწავლის წერა-კითხვას 60 ჰატარა შეგირდს. მისი შეგირდები, სხვებთან შედარებით, დიდ წარმატებას იჩენენ; მწარე სიბერე მოესწრო—იძულებული გახდა სკოლიდან გაეყვანა და თამბაქოს ქარხანაში სამუშაოთ გაეგზავნა ორი შვილი და მოხუცებული ცოლი.

ერთი ფაქტი განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს სოფლის მასწავლებლის უზომო დაბეჩავებას. ს. ა—ში მრავალი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა ს. შ—შვილი. ის საუკეთესო მასწავლებელთაგანათ ითვლებოდა მაზრაში. ჯერ კიდევ ძველად დიდად უპირდა მას წვრილი ცოლ-შვილის შენახვა. ჯერ კიდევ მაშინ ერიდებოდა დღის სინათლეზე გამოსვლას, რადგანაც თავისი დაფლეთილი ტანისამოსისა რცხვენოდა. ომისა და განსაკუთრებით რევოლუციის წლებმა ხომ საბოლოოთ შეარყიეს მისი ნივთიერი მდგომარეობა. არა ერთხელ უნახავთ შარშან სიღნაღის საერობო გამგეობაში ჯამაგირისათვის მოსული და უიმედოთ უკან გაბრუნებული. მისი სიღარიბე თან და თან სილატაკის შემზარავ სახეს იღებდა; ის მათ-თხოვარს ემგზავსებოდა. ბოლოს იმან შეგირდების გულკეთილობას მიმართა; დამცირებით სთხოვდა მათ პურს, მჭადს, ფულს. თვითონ მშვიერი, აგროვებდა მოწყალებას და თავისი ბავშვებისათვის მიჰქონდა; სახლის ავეჯეულობის უმეტესი ნაწილი გაზიდა და გაჰყიდა, მაგრამ მის გაჭიერებას. მაინც საშველი არა ჰქონდა. შიმდინარე წლის გაზაფხულზე მის მშვიერ ოჯახს შავი სახადი ეწვია; გადაედო თვითონ მას და უექიმოთ, უწამლოთ-სილატაკეში დალია სული.

სოფელში მასწავლებელი ქონებრივად და ზოგჯერ გონებრივაც, ყველაზე უბადრუკ არსებათ გეჩვენებათ. ის არა თუ არ არის ცხოვრების ხელმძღვანელი, არამედ უფრო ხშირად მიხანჩალას წააგავს. თუ მასწავლებელს თავის საკუთარი მამული და სახლ-კარი არა აქვს სოფლად, პური თუ არ მოსდის, სიმშლით უნდა მოკვდეს. ეს მისი ნივთიერი უმწეობა უკარგავს მის პროფესიას, ხალხის თვალში პატივისცემას. შარშან ერთმა სოფელელმა ჰკითხა მასწავლებელს—რამდენი გაქვს ჯამაგირიო—როცა გაიგო 600 მანეთი აქვსო, სიცილი დაიწყო—ჩემს მოჯამაგირეს 1.000 მან. ვაძლევ, ასეთი ვაჟაკი მანდ რას უდგინარ, იმუშავე და იცხოვრეო.

მასწავლებლის აბუჩად აგდება ხშირად თვით სწავლა-განათლების აბუჩათ აგდებით გადაიქცევა ხოლმე. რათ მინდა რომ ჩემმა შვილმა ისწავლოს! აი შოშიაანთ სოლიკო, განათლებული კაცია და შიმშილით კი კვდება, იტყოდა მასწავლებლის გაჭირების შემხედვარე ქიზიყელი. იდეისათვის ბრძოლის ნათელითაც არ არის გაშუქებული მასწავლებლის ტანჯვა. მასწავლებელი არც მისიონერია, არც მეცნიერი და სწავლა-განათლებისათვის წამებული, უმეტეს შემთხვევაში — ის მხოლოდ დაბეჩავებული ადამიანია.

12. ერობის საქმიანობა.

რაკი სკოლის უახლოესი მესვეური, მასწავლებელი, ამჟამათ საკმარისათ დასჯილია, მას სკოლის დაქვეითებაში ბრალს ვეღარ დავდებთ, სამაგიეროთ ერობის სწავლა-განათლების განყოფილებას და მთლად საერობო გამგეობა სრული პასუხის-მგებელნი არიან სწავლა-განათლების საქმეში.

მიმდინარე 1919 წლის იანვარში ჩაიბარა სიღნაღის ერთბამ სუყველა სამინისტრო და ყოველი სამრევლო სკოლები. როგორც სჩანს, ჩაბარების დროს არ იქნა აღნუსხული თითოეული სკოლის ინვენტარი, არ იქნა შემოწმებული, რამდენათ სრულად იყო დაცული ყოველივე ის, რაც შეტანილია საინვენტარო წიგნებში. არავის გამოუძიებია, ვინ დაიტაცა დანაკლისი ნივთები.

ერობა იმდენათ დაბნეული იყო, რომ ზოგი სკოლა მთელი შენობით, პარტებით და ეზოთი სათვალავშიაც გამოიჩინა. ერთმა მასწავლებელმა, რომელსაც გულ-და-გულ სურდა სოფ. თამარიანის (დაშკოვკა) სკოლაში ადგილი მიეღო, შემთხვევით აღმოაჩინა რამდენიმე მოწყობილი სკოლა ალაზხან გაღმა. როცა ხსენებულმა მასწავლებელმა თამარიანის სკოლაში ადგილი ითხოვა, უპასუხეს: „თამარიანში სკოლის გახსნის საშუალება ერობას არა აქვსო“. მასწავლებელმა განპარტა, რომ ახალი სკოლის გახსნა იქ საკირო არ იყო, რადგან სკოლას მასწავლებლის გარდა, თითქმის არაფერი აკლდა. შეეკითხენ სიღნაღიდან ალაზხან-გაღმა კომისარს. აღმოჩნდა, რომ იქ სკოლაც ყოფილა და სამინისტროს კრედიტიც ჰქონია მას გახსნილი

მასწავლებლის ჯამაგირისათვის. ამგვარადვე მოულოდნელათ აღმოაჩინეს ალაზან-ვალმა მხარეში სხვა სოფლების სკოლებიც მთავრობის კრედიტით.

მართალია, ამა წლის ოქტომბრიდან ერობის სწავლა-განათლების განახლებული განყოფილება მხურვალე ენერგიით მოეკიდა საქმეს, მაგრამ მეტად დიდი და მძიმე მუშაობა უდგას მას წინ, გაფუჭებული საქმის გამო-სწორებამდის.

უნდა ითქვას, რომ კეთილი განზრახვები სიღნაღის ერობას ბევრი ჰქონია.

1919 წლის აპრილის მაზრის ხმოსანთა ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები.

1. გაიმართოს მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსები. რისთვისაც გადადებულ იქნეს 54.000 მან.

2. რადგანაც 1918-19 წ. სახელმძღვანელოების და რვეულობის უქონლობის გამო ძლიერ შეფერხდა ნორმალური მეცადინეობა სკოლებში, გაიხსნას სიღნაღში მაზრის სკოლებისათვის წიგნის მალაზია, გაიღოს ერობამ ამისათვის 67.260 მან.

წიგნის მალაზია ერობას არ გაუხსნია.

სკოლების დიდი ნაწილი დღემდის დიდ გაჭირებას განიცდის სახელმძღვანელოების და რვეულების ნაკლებობის გამო. ბავშვები 28 მ. ნაცვლად 50 მან. აძლევენ სპეკულიანტს „დედა-ენაში“.—რვეულს (4 მანეთიანს) ყიდულობენ თუმნათ, ეს უკეთეს შემთხვევაში. შორეულ სოფლებში სამი წილი ფასიც რომ გაიღონ, ვერ იშოვიან. მართალია ერობისაგან ახლად მოწვეულმა ინსტრუქტორმა მიიღო ზომები სახელმძღვანელოების შესაძენათ, მაგრამ ზაფხულში გასაკეთებელი საქმის შემოდგომაზე გამოწყებად როდის უნდა უშველოს სკოლებს!

მე-3 რეზოლიუცია. მთავრობის ჯამაგირის გარდა მასწავლებლებს დაენიშნოს ერობისაგან თვიურად 200 მან. დამატება. სექტემბრის ყრილობამ ხელმეორეთ დაადგინა, რომ მასწავლებლებს მიეცეთ—ერობისაგან 500 მან. დამატება.

ნოემბრის ოცს მთელ მაზრაში ძალიან ცოტა იყო ისეთი მასწავლებელი, რომ სექტემბრის ჯამაგირის აპრილში აღთქმული დამატება მიეღო. ოქტომბრისა და ნოემბრის ჯამაგირები ხომ სრულებით არ ჰქონდათ მიღებული *).

მე-4 რეზოლიუცია. რადგანაც არსებული სკოლების შენობები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, გადაიდოს ახლების ასაშენებლათ და ძველების შესაკეთებლათ 379.040 მან.

ერობას არც ერთი ახალი სასკოლო შენობა არ აუგია, ძველების

*) საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნათ. რომ ამჟამად სიღნაღის ერობამ ფიცხელი ზომები მიიღო ჯამაგირების დროზე დარიგების საბოლოოთ მოსაწესრიგებლად.

შეკეთებისათვისაც არ გაუღია ფული. დასანგრევით გამზადებულ 12 სკოლაში მხოლოდ ერთი შეკეთდა ისიც იმიტომ, რომ ნაკლებათ იყო დაზიანებული.

მე-5 რეზოლიუცია. გამოეწეროს ყოველ სკოლას და სოფლის სამკითხველოს გაზეთები და საბავშვო ჟურნალები.

მხოლოდ ორი სკოლა გახდა ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ღირსი, ისიც არა იმიტომ, რომ დადგენილების სისრულეში მოყვანა დაიწყეს, არამედ ახალი ინსტრუქტორის პირადი მზრუნველობით. მიყრუებული სოფლების მასწავლებელთა გოდება გაზეთების გამოწერა ღღესაც უდაბნოსა შინა მლალადებლის ხმად რჩება.

საქმე იმან გააფუჭა, რომ ერობას გასული სასწავლო წლის 5—6 თვის განმავლობაში არ ჰყავდა სკოლების ინსტრუქტორი. ამის შედეგათ ჩაითვლება ის, რომ სკოლებს ახალი წლის დასაწყისში არც შენობები აქვს, არც ბინა მასწავლებლისათვის, არც მოწყობილობა, განსაკუთრებით იმ სკოლებს, რომლებიც განათლების სამინისტრომ გახსნა გასული წლის ენკენისთვიდან. თითქმის არც ერთ სკოლას არა ჰყავს დაოჯი, არა აქვს შეშა, მასწავლებელს ღღემდის არ მიუღია პროგრამები, სკოლის ბეჭედი და სხვა. ღღემდის არ არის ჩაბარებული მაზრის სახალხო სკოლების საქმეები და დოკუმენტები, რის გამოც ღღემდის არ არის გამოწერილი ხუთწლევულები მასწავლებელთათვის. მიუხედავად ამისა, რომ სიღნაღის ერობას საკმაოდ მოეპოვება შაქარი, ფქვილი, ფართალი და სხვა სურსათი; რასაც ის უხვად ურიგებს თავის კანცელარიის მოსამსახურეთ, მასწავლებელთა მცირედი ჯგუფი (ათიოდე) მხოლოდ ერთხელ გახდა ღირსი სამსამი გირვანქა შაქრის და ხუთი არშინი სატომრე ტილოს მიღებისა.

უბრალო განკარგულების ქალაღდიც კი, რომელიც სოფლის სკოლის საჭიროებისათვის უნდა გაგზავნოს ერობამ, ისეთი საარაკო სიმძიმით მოძრაობს, რომ სინამ ის ადგილზე მიაღწევს, სასწავლო წლის პირველი ნახევარიც დაიღვეა. (მაგ., ჩუმლაყში სასკოლო შენობისათვის ბერელაშვილის სახლის რეკვიზიციის საჭიროების დადასტურების გაჭიანურება).

ბოლოს და ბოლოს თემის თავმჯდომარის რ ხმოსნების ხელშია სწავლა-განათლების საქმე სოფლად. მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ მათ. ისინი სრულიად გამოუცდელნი არიან ამ საქმეში, საზოგადო საქმის გაძლოლის უნარი აკლიათ. როცა ერთი თემის ხმოსანს საყვედურით მივმართეთ, გვიპასუხა: „დიდი ხანია სირცხვილში ჩავარდნილია ხალხი, სიბნელეშია, ყრუა, შეუგნებელი. მე რა ვქნა; მეც ჩემი საქმე მაქვსო.“ უეჭველია ის თავის პირად საქმეებს გულისხმობდა.

13. ხალხის ლტოლვილება განათლებისაკენ.

უცნაურ შეუსაბამობას წარმოადგენს სიღნაღის მაზრაში ერთი მხრით მძლავრად გამოხატული მისწრაფება სწავლა-განათლებისაკენ, მეორე მხრით

სკოლისადმი, ჯოკეთ რომ ვთქვათ, მასწავლებლისადმი გულგრილობა, ხშირად მტრული განწყობილება. ხალხს, რომლის გაღვიძებული შეგნება გასაქანს ეძიებს, უნდა სკოლა, მაგრამ იმ სკოლისათვის, უკეთ რომ ვთქვათ, იმ ნაგრევისათვის, რასაც აწინდელი სკოლა წარმოადგენს, ხალხი ფულს არ გაიღებს. ხალხს მასწავლებელიც უნდა - მაგრამ ის თხოულობს „კარგ მასწავლებელს“; იმ მასწავლებლისათვის კი, რომელიც თითონ ხალხის გულგრილობის წყალობითაც არის დღეს დაბეჩავებული, ხალხი ერთი ღერი შემის მიტანასაც არ კისრულობს. ხალხი ხედავს რომ ასობით სასკოლო ასაკის ბავშვი დარჩა წელს სკოლის გარეთ (ბევრი, დაგვიანების შიშით, წერა-კითხვის სასწავლებლათ კერძო სკოლაში*) აბარებს ბავშვებს), ხედავს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში არა თუ არაფერი გაკეთებულა სკოლის წინ წასაწევად, არამედ რაც იყო ისიც განადგურდა. ვისი ნდობა უნდა ჰქონდეს მას? ეროზას ამ დარგში საუბედუროთ სახელი თითქმის გატეხილი აქვს; მთავრობა კიდევ შორს არის; სოფელი მთლად დაკლილია ინტელიგენტ ძალთაგან. სწორედ მაშინ, როცა ფართო თვითმმართველობის გატარებისათვის საჭიროა ინტელიგენტ ძალთა დეცენტრალიზაცია. თბილისში სხვა-და-სხვა დაწესებულებათა კანცელარიები აივსო პროვინციიდან მოსულ ინტელიგენტ თუ მონიტელიგენტო ხალხით.

სოფელს განსაკუთრებით სამეურნეო სწავლა-განათლების მოთხოვნილება აქვს. ზოგ ადგილას ხალხი საკუთარი ინიციატივით შეუდგა სამეურნეო სკოლისათვის ფულის შეგროვებას. ალაზან-გალმა სოფ. ბაისუბანში შეაგროვეს კიდევაც 30.000 მანეთი. გადაწყვეტილი აქვთ 200.000 მანათის შეგროვება. ჰპირდებიან მთავრობას 30 დესიატინა მიწას; ხე-ტყესა და სხვა ასაშენებელი მასალის დამზადებას. განა მარტო იქ, ქიზიყისა და კახეთის ყოველ კუთხეში შეგროვდება დიდ-ძალი თანხა, მილიონობით მოზღვავედება ფული, რომ იყოს მოთავე. „მთავრობა რომ იკისრებდეს“ ამბობენ სოფლელები, „ადვილათ მოეწყობოდა საქმეო“.

ქრ. შარაშიძე.

*) ეროზამ ყურადღება უნდა მიაქციოს კერძო სკოლებს სოფლებში. ამ სკოლებში ბავშვებს მამა-პაპური წესით ასწავლიან წერა-კითხვას და ხშირად დიდი ხნით უჩლუნგებენ ენასა და სწავლის ინტერესს. უკიდურესს შემთხვევაში თუ ვერ დახურავენ, კონტროლი მაინც უნდა გაუწიონ კერძო სკოლებს.

ცნობები აღზიდვიდან.

აგრარული რეფორმა დუშეთის მაზრაში.

1918 წელს დუშეთის მაზრაში, აგრარულ რეფორმის პირველ ნახევარის ცხოვრებაში გასატარებლად გამოგზავნილ იქმნა სამი კომისია, რომლებმაც, მიუხედავად იმ ანარქიისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა დუშეთის მაზრაში და ბევრი სხვა დაბრკოლებებისა, პირნათლად შეასრულეს თავის მოვალეობა. მათ მუშაობა დაასრულეს სამ რაიონში, საგურამოს, მუხრანის და ახალგორის; დანარჩენ რაიონებში, როგორც არის, ბაზალეთი, ჟინვალი, ხევი და ნაწილი მცხეთისა, მუშაობა სრულებით არ წარმოებულა. ამისთვის შარშან (1919 წ.) 1 თიბათვიდან ხელახლად დანიშნულ იქნა კომისიები, რომლებსაც ევალეობდათ მიწების ჩამორთმევა, სადაც არ დასრულებულა და სადაც ეს დასრულებული იყო გასანაწილებლად ადგილობრივ უმიწაწყლო და მცირე მამულის მქონე სოფელთა შორის. უნდა ითქვას, რომ ამ კომისიებს ბევრი დაბრკოლებები ელოებოდათ წინ და უმთავრესი დაბრკოლება კი ის იყო რომ ხალხი, როგორც 1918 წელს, ზოგიერთ საექვო პირების მეოხებით უნდობლობის თვალთ უცქეროდა ამ რეფორმას. ამიტომ აგრარულ განყოფილების გამგე — ერობის თავმჯდომარეს და ზოგიერთ კომისიის მდივნებს უხდებოდათ ხალხში ერთნაირ პროპაგანდის გაწევა და ამით, რასაკვირველია, დროც იკარგებოდა და აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარებაც ფერხდებოდა. გარდა ამისა ზოგიერთ რაიონებში მოჰყვნენ კომისიის მდივნებად ისეთი პირები, რომელნიც არაფერს აკეთებდნენ. მაგ. შეიძლება ავიღოთ მუხრანის რაიონი, სადაც მუშაობდა მდივანი სტუდენტი ჭანტურია, რომელსაც არაფერი გაუკეთებია და ამისთვის იყო კიდევ აგრარულ განყოფილებამ გადააყენა თანამდებობიდან. შემდეგში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სარაიონო კომისიის მდივნებად საიმედო პირების მოწვევას და არა ისეთების, რომლებიც მარტო იმას უყურებენ, ჯამაგირს როდის მოგვიმატებენო და სხვა. ბევრს გონია, რომ დუშეთის მაზრაში, აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარება ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის, მაგრამ ეს, როგორც ქვემო ნაჩვენებ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, შემცდარი აზრია. მუშაობის შედეგი 1919 წელს შემდეგია:

საგურამოს რაიონი: 1918 წ. საგურამოს რაიონში მამულების მიღება დასრულდა. მემამულეებისაგან მისაღები იყო 10.806 დესიატინა, ნორმაში დაეტოვათ მათ 698, ჩამოერთვათ 10.108. ჩამორთმეულ მამულებიდან შეიძლება განაწილდეს მხოლოდ 2.638 დესიატინა, დანარჩენი 7.470 დესიატინა, როგორც ტყე, გზები და უვარგისი მიწები არ შეიძლება განაწილდეს. ამ თავისუფალ მიწების გასანაწილებლათ წელს ივნისის პირველ რიცხვებში

დაიწყო მუშაობა სარაიონო კომისიამ, რომელმაც დაასრულა პირველ დაწყებითი მუშაობა რაიონში, ჯერ-ჯერობით დამზადებულია უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე სოფლებზე გადასაცემათ 1.853 დესიატინა მიწა. რჩება კიდევ 785 დესიატინა, რომლის განაწილებას შეუდგება კომისია მომავალ გაზაფხულზე. საგურამოს რაიონში სულ არის დაახლოებით 30 სოფელი. მათ შორის რაიონის 12 სოფელში (ჯერ მხოლოდ აქ მოესწრო ცნობების შეკრეფა) უმიწაწყლოთა რიცხვი უდრის 177 კომლს, $1\frac{1}{4}$ -დან $6\frac{3}{4}$ -დე მქონეთა—969 კომლს, 7 დესიატინას—7 კომლს.

მუხრანის რაიონი: გასულ წელს მუხრანის რაიონში ნორმაზე მეტ მამულების ფონდში გადარიცხვა დასრულდა. მისაღები იყო 4.405 დეს., ნორმაში დაეტოვათ 397, ჩამოერთვათ 4.008 დესიატინა. ამ ჩამორთმეულ მამულებიდან შეიძლება განაწილდეს მხოლოდ 2.366, დანარჩენი 1.642 დეს. არ შეიძლება განაწილდეს. ამ თავისუფალ მიწების გასანაწილებლად შარშან (1919 წ.) შესდგა სარაიონო კომისია, მაგრამ რამდენათ ნაყოფიერი იყო მიმღებ კომისიის მუშაობა 1918 წელს, იმდენათ უნაყოფო გამოდგა სარაიონო კომისიის მუშაობა და ეს აიხსნება, როგორც ვთქვით, კომისიის მდივნის უმოქმედობით.

ბაზალეთ-ჟინვალის რაიონი: ბაზალეთ-ჟინვალის რაიონში მხოლოდ წელს ივნისის ბოლო რიცხვებში გაიგზავნა მიმღები კომისია. მან მთელ რაიონში დაასრულა ნორმაზე მეტ მამულების ფონდში გადარიცხვა. მისაღები იყო სულ 8.730 დესიატინა, ნორმაში დაეტოვათ 365, ჩამოერთვათ 8.365 დ. თუმცა ერთის თვალის გადავლებით, ვარაუდით, ეს თავისუფალი მიწა თითქოს საკმაოა რაიონში უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ამ საერთო მიწებიდან შეიძლება განაწილდეს, მხოლოდ 2.828 დ., დანარჩენი წარმოადგენს ტყეს, გზებს. ბაზალეთის ტბას. რომლის განაწილება შეუძლებელია. რეფორმის მეორე ნახევრის ცხოვრებაში გასატარებლად ნოემბრის პირველ რიცხვებში შეუდგა მუშაობას სარაიონო კომისია, რომელსაც ჯერ-ჯერობით მუშაობა არ დაუსრულებია.

ახალგორის რაიონში: ახალგორის რაიონი მთელ მაზრაში ყველაზე უფრო დიდი რაიონია. გასულ წელს დავვიანებით გაიგზავნა კომისია, მაგრამ მაინც მოასწრო ნორმაზე მეტ მამულების ფონდში გადარიცხვა. მისაღები იყო სულ 2.208, ნორმაში დაეტოვათ 82, ჩამოერთვათ 2.126, აქედგან შეიძლება განაწილდეს 1093,—დანარჩენი კი არ განაწილდება. ამ მიწების გასანაწილებლად წელს შესდგა სარაიონო კომისია, რომელმაც დაამზადა სოფლებისთვის გადასაცემათ 160 დეს., დარჩა გასანაწილებელი 1.133, მაგრამ, რადგანაც მხოლოდ ტენიკური სამუშაო დარჩა და ეს ზამთარში შეუძლებელია, ამისთვის კომისია მოიხსნა, რომელიც გაზაფხულში ისევ გაიგზავნება სამუშაოთ.

ხევის რაიონი: წარსულ წელს (1919), ივნისის ბოლო რიცხვებში, გაიგზავნა კომისია მაგრამ მას ბევრი დაბრკოლებები გადაეღობა წინ. უმთავრესი

დაბრკოლება იყო ის, რომ კომისიის წევრებს დამშეულ ხევში არ შეეძლოთ იმ თანხით ცხოვრება, რასაც სამინისტროსაგან იღებდენ. ამისთვის ერობის გამგეობას, ხევში, რომ აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარება არ დაგვიანებულყო, მოუხდა კომისიის საჭიროებისათვის რამდენიმე ათასი მანეთის გაღება. კომისიამ ამ თვე-ნახევარის მუშაობის შემდეგ დაასრულა რაიონში მამულების მიღება. მისაღები იყო სულ 13.214 დეს., დაეტოვათ 1.080 ოთხ. კუთხ. საყენი, ჩამოერთვათ 13.214 დ. აქედან 5.845 დეს. ყოველად გამოუდგარი მიწებია, რომლებიც წარმოადგენენ მიუვალ პიტალო კედლებს. აღსანიშნავია ამ რაიონში კომისიის მოქმედება, რომელმაც არც ერთ მემამულეს ნორმა არ მისცა და ეს ადგილი ასახსნელიც არის. აქ სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი განიცდიან მიწის წარმოუდგენელ სივიწროვეს და ყოველ გაზაფხულის დამდეგს, როდესაც მთაში ცხვრის გარეკვის დრო მოვა, ერთი სოფელი, მეორე სოფლის წინააღმდეგ გამოდის იარაღით ხელში, მართლაც დანაშაული იქნებოდა, რომ აგრარულ კომისიას მიეცა ნორმა ისეთ ხალხისთვის, რომელნიც არამც თუ მეცხვარეობას ეწევიან, არამედ ხევშიც არ ცხოვრობენ. კომისიამ აღძრა ერობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ხევის მემამულეებისთვის, როგორც ისინი თხოულობდნენ, მიეცათ საქართველოს საზღვრებში, იქ სადაც უფრო თავისუფალი მიწებია. ერობის გამგეობამ მხარი დაუჭირა კომისიის დადგენილებას და თითონაც აღძრა სამინისტროს წინაშე ამაზედ შუამდგომლობა. რეფორმის მეორე ნახევრის ცხოვრებაში გასატარებლად დაინიშნა მდივანი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

მცხეთის რაიონი: მცხეთის რაიონში სულ მისაღები იყო 2.614, ნორმაში დაეტოვათ მემამულეებს 239, ჩამოერთვათ 2.373 დ. აქედგან შეიძლება განაწილდეს მხოლოდ 1.563, დანარჩენი 810, როგორც უვარგისი არ განაწილდება. ამ რიგით მთელ მაზრაში ჩამოსართმევი იყო 41.979 დეს. დაეტოვათ მემამულეებს 1.782, ჩამოერთვათ 40.197 დესიატინა. ამ ჩამორთმეულ მამულებში შედის: სასახლკარო ადგილები 94 დ., ხილის ბაღი 93 დ., ვაზის ბაღი 53 დ., ხილისა და ვაზის ბაღი (შერეული) 63 დეს., საბაღო მიწები 95 დ., სახნავი-სარწყავი 906 დ. სახნავი-ურწყავი 5.314 დ., ტყე 16.272 დ., ჯავნარი საძოვარი 2.938 დ., საძოვარი 7.404., სათიბი 486 დ., კლდეები, გზები, ხრამები და სხვა გამოუსადეგარი მიწები 6.479 დ. მრავალ სხვა დაბრკოლებათა შორის, რომელნიც კომისიას ელოებოდა წინ, არის ზაფხულში მუშა ხელის უქონლობა. ამ დროს გლეხს თავისი სამუშაო აქვს და ვერაფლის გზით ვერ გამოიყვან. მას საზოგადო საქმისთვის. ბევრჯელ ყოფილა შემთხვევა კომისიის მდივანს და წევრებს აესრულებინოთ უბრალო მუშების როლი, ერბინოთ სოფელში სურსათისათვის, ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და ეს ყველაფერი, რასაკვირველია, აფერხებდა მუშაობას. ამისთვის კარგი იქნებოდა გადადებულიყო განსაზღვრული თანხა

ქ რ ო ბ ა.

დამფუძნებელ კრებაში.

დეკრეტი ერობათა ხმოსნების რწმუნებულობის ვადის განგრძობისა. 1. ერობათა ხმოსნების რწმუნებულობის ვადა, დადებული ერობათა დროებითი დებულების ძალით (თავი 2 §§ 11 და 51) 1920 წლის იანვრის 1-მდე, განგრძობილ იქნეს 1920 წლის ნოემბრის 1-მდე.

შენიშვნა. ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსნების არჩევნები დაინიშნოს 1920 წლის იანვრის განმავლობაში.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

მ თ ა ვ რ ო ბ ა შ ი.

ყოფილ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს საქმეების გაძლოლა ჰბარდება ერობათა კავშირს იმავე წესით, რა წესითაც ეს საქმეები ჩაბარებული ჰქონდა ცენტრალურ სასურსათო საბჭოს; ვიდრე ეს საკითხი გადაჭრილი იქნება საკანონმდებლო წესით.

— ქალაქ ლანჩხუთის თვითმმართველობისა და ოზურგეთის ერობისათვის გაცემული სესხის ვადათ აღიარებული იქმნას 5 წელი. სესხი იქნეს უპროცენტო, ხოლო იმ პირობით, რომ ფულის ხარჯვა ხდებოდეს მიწათ-მოქმედების მინისტრის კონტროლის ქვეშ.

— საფუთო ვადასახადის გამო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მოსდის, რომ ერობები მაზრიდან გაზიდულ ფუთ მატყლზე 10—15 მან. ახდებიან. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარული მოწერილობა გაუგზავნა სამაზრო ერობის ყველა გამგეობებს, რომ ვინაიდან საფუთო ვადასახადი დაწესებული უნდა იქნეს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით და ამგვარი ნებართვა ჯერ ერობებს არ მიუღიათ, ამიტომ მატყლზე შემოღებული ვადასახადი უკანონოა. ამასთანავე ერთად სამინისტრო წინადადებას აძლევს მათ, თუ კი მაზრაში არის დაწესებული ნაჩვენები ვადასახადი, დაუყონებლივ გააუქმონ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობეს: შორაპნის სამაზრო ერობას განკარგულება გაუცია, რათა მიწის-მზომელთ შეეჩერებიათ სოფელ რუფოთის აგარაკის გადამიჯვნა. ამის გამო სამინისტრომ მისწერა შორაპნის ერობის გამგეობას, რომ ადმინისტრაციას უფლება არა აქვს შეაჩეროს სასამართლოს დადგენილება.

— დამტკიცებულ იქმნა მთავრობის მიერ ერობათა კავშირის დებულება.

— უკანონო გადასახადის გაუქმება. ქალ. ყულევის (რადუტ კალე) თვითმმართველობას ანაკლიის რაიონიდან და ზუგდიდ სამურზაყანოს მაზრებიდან ტრანზიტად გაზიდულ სანოვაგებზე შემოულია გადასახადი ფუთზე მანეთი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყულევის გამგეობას გააუქმოს აღნიშნული გადასახადი, როგორც უკანონო.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს საგადასახადო განყოფილებას აზრათ აქვს მომავალ ზაფხულიდან ვაადიდოს გადასახადი საძოვარ მინდვრებზე, რისთვისაც სთხოვს სამაზრო ერობებს და სახელმწიფო მამულეების გამგეებს წარმოადგინონ სამინისტროში ამ საკითხის შესახებ თავიანთი მოსაზრებანი არა უგვიანეს 15 თებერვლისა.

— იმ ერობების გამგეობებს, რომლებიც სესხს თხოულობენ მთავრობისაგან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი აცნობა: 1) თუ სესხი ესაჭიროება ერობას წარსული წლის დეფიციტის დასაფარავად, იმ შემთხვევაში ერობამ უნდა წარმოადგინოს ყველა გასამართლებელი საბუთები გაწეულ ხარჯებისა და ვალის რაოდენობისა; 2) თუ სესხი საჭიროა რაიმე საამშენებლო მიზნისთვის, იმ შემთხვევაში საჭიროა შუამდგომლობასთან ერთად ტექნიკური გამოკვლევა და დაწვრილებითი ხარცთ-აღრიცხვა; 3) თუ სესხი საჭიროა სათესლე ხორბალისათვის და სურსათის შესაძენათ,—ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოლაპარაკებას გამართავს მომარაგების სამინისტროსთან სესხათ, ფულათ ან სურსათის სახით მიცემის შესახებ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საჭიროებების თაობაზე შუამდგომლობა ცალკალკე უნდა იყოს აღძრული საჭირო მასალების თანდართვით. ის შუამდგომლობანი, რომლებიც არ დააკმაყოფილებენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტში

მთავარ კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროს 15-24 იანვარს ჰქონდა 5 სხდომა, რომლებზედაც განხილულ იქმნა 29 საკითხი.

სატეხნიკო განყოფილებამ მოხსენება გააკეთა ქალ. დუშეთისათვის წისქვილის მოწყობის შესახებ. ამ მოხსენების გამო აღმასრულებელმა ბიურომ დაავალა სატეხნიკო განყოფილებას მოახდინოს ხელშეკრულება ამ საქმისათვის იმ პირობით, რომ მოხსენებაში აღნიშნული ხარჯთ-აღრიცხვის ჯამი შეტანილ იქმნეს ამ საქმეში მონაწილეთა მიერ ერთად და თანასწორათ.

— შეშის განყოფილებას ამიერიდან ეწოდება ტყის განყოფილება. ტყის განყოფილებას ნება დაერთო დაიწყოს ნუნის აგარაკში წიწვის ტყის ჭრა საშენი მასალის დასამზადებლად.

— მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ონიდან:

„ქალაქ ონის მცხოვრებნი განიცდიან საშინელ შიმშილს. ფუთი სიმინდი ორმოცი თუმანია ისიც არ იზოვება რადგან მახრაში შიმშილია სოფელი არასფერს უშვებს. ახლად შემდგარი თვითმმართველობა უძლურია. საჭიროა მთავრობის სწრაფი დახმარება. გთხოვთ საჩქარო შუამდგომლობას, რათა მთავრობამ გადმოგზავნოს ერთი ვაგონი სიმინდი ფას-დადებით საჩხერეში. ქალაქის თავი ბიჭაშვილი“. ამის გამო ქალაქთა კავშირმა აღძრა კიდევ სათანადო შუამდგომლობა მომარაგების და შინაგან საქმეთა სამინისტროებში.

— საქართველოს რეს. ქალაქთა კავშირის საექიმო-სახანითარო განყოფილება ამით იუწყება, რომ ცენტრალურმა ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ (სერგიევის ქუჩა № 4) მიიღო პარიზიდან—პასტერის ინსტიტუტიდან—დიფტერიის საწინააღმდეგო ახალი შრავი, რომლის თითოეული ამპული შესდგება 2.500 ერთეულიდან.

შრავის გაცემა ავთომყოფთათვის შეიძლება მხოლოდ ექიმების გამოწერით. ავადმყოფის პატრონმა შრავის მოთხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შედეგები თბილისის ერთ-ერთ ლაბორატორიაში წარმოებულ ამალიზისა.

— ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომა შესდგა 25 იანვარს. სხდომების ანგარიშები და დადგენილებანი დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში.

თელავის ქალაქის გამგეობაში.

სატრაქტირო ვადასახადის გაწერა. სატრაქტირო ვადასახადი გამგეობის და საფინანსო კომისიის მიერ გამოანგარიშებულია 300.000 მან. საბჭომ დაამტკიცა ეს ვადასახადი 300.000 მანეთის რაოდენობით და განაწილებელ კომისიაში აირჩია საბჭოდან ერთი ხმოსანი. გამგეობას მიენდო ტენიკურად ამ საქმის მოწყობა.

— ქალაქის და გეგმის ხარჯთ-აღრიცხვა. თელავის ქალაქის საბჭოს დაუდგენია ქალაქის დაგეგმა და გადაუდგია ამ საქმესათვის 50.000 მანეთი. ქალ. გამგეობის მოსახრებით ქალაქის ქუჩების ეზოებით ფართოდ დაგეგმისათვის საჭიროა 137.400 მან. მარტო ქუჩების დასაგებათ კი 80.500 მანეთი. საბჭომ იქონია ამის შესახებ ხელმეორე მსჯელობა და გადასწყვიტა: დაიგეგმოს ქალაქის ქუჩები ეზოებით და გადაიდოს ამ საქმისათვის 137.400 მანეთი.

შრომის ბირჟაში.

თბილისის ქალ. შრომის ბირჟაში. დეკემბრის განმავლობაში ქალაქის შრომის ბირჟაში 183 უმუშევარი ჩაეწერა. ამათ შორის—ვაჟი 135, ქალი 43. ნოემბრიდან დარჩენილი იყო უმუშევრად 50, ამჟამად ბირჟაში ჩაწერილია 223 უმუშევარი. შრომის საშოვნელად მისულან ბირჟაში 1.326-ჯერ, თითო მუშას თვეში 6-ჯერ შეხვედრია მისვლა. დეკემბრის განმავლობაში სამუშაო მიეცა 41 მუშას ანუ 17 %-ს.

ერობათა თვითმმართველობები.

ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტში.

ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა შორაპნის სამაზრო ერობას სუბსიდიის სახით მიეცეს ერთი მილიონი მანეთი 3 ხიდის გასაკეთებლად. ერთი მათგანი გაკეთებულ უნდა იქნეს მდინარე ყვირილაზე და უნდა შეაერთოს მაზრის ორი დიდი ნაწილი, ხოლო მეორე ხიდი შეაერთებს მთელ ჩხარის რაიონს დანარჩენ სოფლებთან და ცენტრთან. მთავარმა კომიტეტმა წარუდგინა სამინისტროს ხსენებულ ხიდების ასაშენებელი ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი.

— სასურსათო საბჭოს ყველა ქონება გადავიდა ერობათა მთავარ კომიტეტის ხელში, რის შემდეგაც მთავარი კომიტეტის მუშაობა გადიდდა.—ამის გამო მას აზრად აქვს მოახდინოს არსებულ კანცელარიის რეორგანიზაცია და გახსნას ახალი განყოფილება.

— ერობათა კავშირის კომიტეტი თებერვლის შუა რიცხვებში იწვევს ტექნიკურ მუშათა ყრილობას. განსახილველია საკითხები: 1) საერობო ტექნიკის მდგომარეობა, 2) საერობო ტექნიკის საკითხები, 3) საერობო ტექნიკის კერძო მხარეები, მათი ორგანიზაცია და უახლოესი საკითხები: ა) გზების საქმე, ბ) საწყლო საქმე, გ) საერობო აღმშენებლობა, გამშენიერება სოფლებისა და ქალაქებისა, დ) მიმოსვლის საშუალებანი (ტრანსპორტი, ტელეფონი, ფოსტა), ე) წარმოებანი, ვ) ფაბრიკისა და ქარხნის ზედამხედველობა და ზ) შინა მრეწველობა. 4) პროფესიონალურ-ტექნიკური განათლება, 5) ფინანსიური მხარეები საერობო ტექნიკის მოქმედებისათვის და 6) პროფესიონალური საჭიროებანი საერობო ტექნიკის პიროვნებისათვის.

